ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

CZECH REPUBLIC
DEVELOPMENT COOPERATION

# ქოღოს ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი
## მცხეთა-მთიანეთის რეგიონში

PEOPLE IN NEED CZECH REPUBLIC

MPG Research

# ჟოლოს ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი

## მცხეთა-მთიანეთის რეგიონში

პროექტი „**სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის მხარდასაჭერად**“ დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ახორციელებს „ფიფლ ინ ნიდ”

წინამდებარე პუბლიკაცია გამოცემულია ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ “ფიფლ ინ ნიდ” და პი ემ სი კვლევითი ცენტრი და პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

თბილისი, 2018

კვლევის კოორდინატორი: **ნინო ხატისაშვილი**

უფროსი მკვლევარი: **ია კაცია**

უმცროსი მკვლევარი: **მარიამ საღარეიშვილი**

**სოფო ბასილიძე**

კვლევის პროცესში აქტიური მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა:

- **ყაზბეგის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი;**
- **„საქართველოს ეკოლოგიურ მიწადმოქმედთა ასოციაცია“ (სემა);**
- **„მინდია“;**
- **„დუშეთის ფერმერთა კლუბი“;**
- **„სოციალური სოლიდარობა“.**

# შინაარსი


შემაჯამებელი მიმოხილვა ..... 6

1. შესავალი ..... 7

2. კვლევის მიზანი ..... 8

2.1 პროექტის ზოგადი მიზანი ..... 8

2.2 ჟოლოს ღირებულებათა ჯაჭვის კვლევის მიზანი ..... 8

3. კვლევის მეთოდოლოგია ..... 9

3.1 პროდუქტის შერჩევა ..... 9

4. კვლევის შეზღუდვები ..... 11

5. კვლევის არეალი ..... 12

5.1 მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ზოგადი დახასიათება ..... 12

5.2 მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სოფლის მეურნეობა ..... 13

6. სექტორის მოკლე მიმოხილვა ..... 16

6.1 ჟოლოს წარმოება მსოფლიოში ..... 16

6.2 ჟოლოთი ვაჭრობა მსოფლიოში ..... 18

7. საქართველოს ჟოლოს სექტორის ანალიზი ..... 21

7.1 ჟოლოს ექსპორტ-იმპორტი ..... 23

7.2 ჟოლოს სახეობები და ჯიშები ..... 25

8. კვლევის შედეგები ..... 26

8.1 მცხეთა-მთაინეთის ჟოლოს სექტორის ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეები ..... 26

8.2 მცხეთა-მთიანეთის ჟოლოს ღირებულებათა ჯაჭვის ასახვა ..... 29

8.3 ჟოლოს ღირებულებათა ჯაჭვზე მოქმედი გარე ფაქტორები ..... 30

9. ხარჯებისა და ნამატების ანალიზი ..... 33

9.1 მწარმოელთა დანახარჯები და შემოსავლები ..... 33

9.2 დამატებული ღირებულების ანალიზი ..... 34

9.3 სავაჭრო კავშირები და საექსპორტო პოტენციალი ..... 36

10. ჟოლოს სექტორის „SWOT“ ანალიზი მცხეთა-მთიანეთში ..... 39

11. ჟოლოს სექტორის პოტენციალი ..... 40

11.1 დასაქმების პერსპექტივები და შემოსავლების გენერირება ..... 41

11.2 გარემოზე ზემოქმედება ..... 41

12. დისკუსია და რეკომენდაციები ..... 42

12.1 ჟოლოს სექტორის მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორები ..... 42

12.2 რეკომენდაციები ..... 42

ბიბლიოგრაფია: ..... 44
დანართი ..... 45

## ცხრილები

ცხრილი 1: მცხეთა-მთაინეთის მეურნეობების რაოდენობა მეურნის იურიდიული სტატუსის მიხედვით ..... 13
ცხრილი 2: სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი მიწათსარგებლობის ფორმების მიხედვით (ჰა.). ..... 14
ცხრილი 3:სარგებლობაში არსებული საშუალო ნაკვეთების რაოდენობა და ფართობი ..... 14
ცხრილი 4: აგროსასურსათო სექტორში მოქმედი საწარმოების განაწილება რეგიონების მიხედვით ..... 15
ცხრილი 5: დანერგე მომავლის მონაცემები რეგიონების ჭრილში ..... 15
ცხრილი 6: ჟოლოს წარმოება მსოფლიოში რეგიონების მიხედით ..... 16
ცხრილი 7: ნედლი ჟოლოს ყველაზე მსხვილი ექსპორტიორი ქვეყნები მსოფლიოში ..... 19
ცხრილი 8: ნედლი ჟოლოს ყველაზე მსხვილი ექსპორტიორი ქვეყნები მსოფლიოში ..... 19
ცხრილი 9: გაყინული ჟოლოს ყველაზე მსხვილი იმპორტიორები ქვეყნები მსოფლიოში. 20
ცხრილი 10: ჟოლოს მწარმოებლის ფასი (აშშ დოლარი/კგ, 2012-2016 წლებში. წყარო: Faostat) ..... 20
ცხრილი 11: მეურნეობები კენკროვნებით ..... 22
ცხრილი 12: ჟოლოს წარმოების ეკონომიკური ინდიკატორები ..... 34
ცხრილი 13: დამატებული ღირებულება ჯაჭვის თითოეულ რგოლში ..... 35
ცხრილი 14: მონაწილეების მიხედვით ღირებულების განაწილება ჯაჭვში ..... 35
ცხრილი 15: დამატებული ღირებულება ალტერნალიული ჯაჭვის თითოეულ რგოლში . 36
ცხრილი 16: ჟოლოს წარმოების ეკონომიკური ინდიკატორები ევროკავშირში ექსპორტის შემთხვევაში ..... 38

## დიაგრამები


დიაგრამა 1: ჟოლოს მწარმოებელი ქვეყნები მსოფლიოში ..... 17

დიაგრამა 2: ჟოლოს წარმოების მოცულობა მსოფლიოში (2007-2016 წლებში) ..... 17

დიაგრამა 3: ქვეყნები ჟოლოს ყველაზე მაღალი მოსავლით 1 ჰექტარზე ..... 18

დიაგრამა 4: ჟოლოს ფართობი მუნიციპალიტეტების მიხედვით..... 22

დიაგრამა 5: ჟოლოს მწარმოებლის ფასები საქართველოში ..... 23

დიაგრამა 6: ჟოლოს იმპორტი საქართველოში (2013-2017წლები)..... 24

დიაგრამა 7: ჟოლოს არსებული ღირებულებათა ჯაჭვის ასახვა (Grid Map)..... 29

დიაგრამა 8: ჟოლოს ჰიპოთეტური ღირებულებათა ჯაჭვის ასახვა (Grid Map)..... 30


## რუქები


რუქა 1:საქართველო და მისი რეგიონები ..... 12

რუქა 2: მცხეთა-მთიანეთი და მისი მუნიციპალიტეტები ..... 13

## შემაჯამებელი მიმოხილვა

ჟოლოს ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზის ძირითადი მიზანია სექტორში არსებული სიტუაციის გამოვლენა, შეფასება, ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა. მიუხედავად იმისა რომ ჯერჯერობით ჟოლოს წარმოება არ არის სათანადოდ განვითარებული საქართველოში, და მხოლოდ მცირე რაოდენობით ხდება მისი წარმოება, მიჩნეულ იქნა რომ ამ კულტურას აქვს პოტენციალი წარმატებით დააკმაყოფილოს ადგილობრივი მოთხოვნა, ჩაანაცვლოს იმპორტი და ასევე მოხდეს მისი ევროკავშირში ექსპორტირება. სწორედ ამ მიზეზების გათვალისწინებით მცხეთა-მთიანეთში კვლევის ობიექტად მოხდა ჟოლოს კულტურის შერჩევა.

საქართველოში ხორციელდება მნიშვნელოვანი რაოდენობის ჟოლოს იმპორტი რაც განპირობებულია ადგილზე წარმოების მოცულობის სიმცირითა და პროდუქციის სეზონურობაზე დამოკიდებულებით. შესაბამისი სტანდარტების სამაცივრე და შემნახველი სიმძლავრეების არ არსებობა რეგიონში და ასევე ჟოლოს მცირე მოსავალი არ იძლევა შესაძლებლობას, რომ ადგილობრივი პროდუქცია მთელი წლის განმავლობაში მიეწოდოს ბაზარს. აღნიშნული სიცარიელის შევსება  ხორციელდება იმპორტის საშუალებით.

საკუთარი ბაზრის სრულად ათვისების შემდგომ ქართველ ჟოლოს მწარმოებლებს ასევე აქვთ შესაძლებლობა, რომ თავისი პროდუქცია მიაწოდონ ევროპის ბაზარს. მსოფლიოში, ევროპა წარმოადგენს ჟოლოს ყველაზე დიდ იმპორტიორს. საქართველოში არსებული მწარმოებლის საშუალო ფასი, ბევრად დაბალია ვიდრე ევროპის ბევრ ქვეყანაში. ეს საქართველოს უპირატესობას აძლევს გახდეს მიმზიდველი ევროპის ბაზრისთვის და ასევე კონკურენცია გაუწიოს სხვა იმპორტიორებს. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) უფრო აახლოვებს ქართველ ჟოლოს მწარმოებელ ფერმერებს ევროკავშირის ბაზართან, თუმცა ჯერ რასაკვირველია ქართველი მწარმოებლების მიერ უნდა მოხდეს იმ სტანდარტებისა და რეგულაციების ათვისება რომლებიც გათვალისწინებულია ამ შეთანხმებით. უნდა აღინიშნოს რომ, ეს შეთანხმება უმრავლესობა პირველადი წარმოების პროდუქტს ათავისუფლებს ტარიფებისაგან. ერთ-ერთ ამ პროდუქტთაგანია ჟოლო, რომლის  ექსპორტი საქართველოდან ევროკავშირში მოხდება ყოველგვარი გადასახადებისა და შეზღუდვების გარეშე.

მიიჩნევა რომ ჟოლო ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი კულტურაა სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებთან შედარებით. იგი საინტერესოა იმითაც რომ მაღალი ღირებულების მქონე პროდუქტია და მცირემიწიანობის პირობებში მისი წარმოება შედარებით მაღალშემოსავალიანია.

არსებული მონაცემებით ჩანს, რომ ბოლო წლებში ჟოლოსადმი ინტერესი იზრდება და შესაბამისად შესაძლებელი ხდება ამ კულტურის განვითარების რეალური პროგნოზების დასახვა.

## 1. შესავალი

საქართველო უძველესი აგრარული ტრადიციების მქონე ქვეყანაა. საგულისხმოა, რომ ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 43% სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას წარმოადგენს[1]. 2017 წლის მონაცემებით[2] სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) 7,2%-ს შეადგენს და ეს მაშინ, როცა ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების შესაბამისად, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტი. აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი იძულებით დასაქმებულია, რომლებიც არ არიან ბაზარზე ორიენტირებულნი და წარმოებული პროდუქციის უმეტეს ნაწილს თავად მოიხმარენ.

არსებული პრობლემების გათვალისწინებით, ქვეყნის სოფლის მეურნეობის წინაშე დგას ამოცანა, რომ აწარმოოს ისეთი პროდუქტები, რომლებიც თავისი პოტენციალით იქნება კონკურენტუნარიანი და მაღალი შემოსავლის მომტანი. სწორედ ერთ-ერთ ასეთ კულტურად იქნა მიჩნეული ჟოლო მცხეთა-მთიანეთის რეგიონში და ამიტომაც საინტერესოა ამ კულტურის წარმოებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული პროცესების სრული ანალიზის გაკეთება. კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს, მცხეთა-მთიანეთია რეგიონში, ჟოლოს ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი. კვლევის ფარგლებში მოხდა ჟოლოს კულტურის დეტალურად შესწავლა და სამომავლო განვითარების განსაზღვრა.

ჟოლოს მოყვანა ამჟამად მცირე მაშტაბებით ხდება საქართველოში, თუმცა ამ კულტურას განვითარების დიდი პოტენციალი აქვს. აღსანიშნავია რომ, თითქმის ყველა რეგიონში მოიძებნება ადგილები, სადაც ჟოლოს მოყვანისთვის ხელსაყრელი აგროკლიმატური პირობებია რაც მისი წარმოების განვითარების პოტენციალზე მიუთითებს.

დაინტერესება ჟოლოს წარმოებისადმი მზარდია რაც განპირობებულია ბაზარზე არსებული მაღალი მოთხოვნით და სტაბილურად მაღალი ფასით. აღსანიშნავია, რომ ჟოლო მოთხოვნადია როგორც ადგილობრივ, ასევე ევროპულ ბაზრებზე და შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მას აქვს კარგი საექსპორტო პოტენციალი.

[1] საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო(mrdi.gov.ge)
[2] Geostat 2017

# 2. კვლევის მიზანი

## 2.1 პროექტის ზოგადი მიზანი

პროექტის მთავარი მიზანია მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ჟოლოს ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი და ამასთანავე ადგილობრივ დონეზე - რეგიონში და მუნიციპალიტეტებში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული პირების ცოდნის ამაღლება, რაც მიღწეულ იქნა კვლევის ყველა ეტაპზე მათი მაღალი ჩართულობით.

## 2.2 ჟოლოს ღირებულებათა ჯაჭვის კვლევის მიზანი

ჟოლოს ღირებულებათა ჯაჭვის კვლევის მიზანია მისი თითოეული რგოლის ანალიზის საფუძველზე, კონკრეტული ნაკლოვანებების გამოვლენა და შესაძლებლობების აღმოჩენა, რათა შესაძლებელი გახდეს ღირებულებათა ჯაჭვში მაქსიმალური ღირებულების შექმნა და შესაბამისად მაქსიმალური ეფექტის მიღწევა. აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მოხდეს იმ გზების ძიება თუ როგორ შეიძლება, რომ წარმოება გახდეს უფრო ეფექტიანი, მდგრადი და მომგებიანი. შესაბამისად, როგორაა შესაძლებელი, რომ მაქსიმალურად ავითვისოთ ადგოლობრივი ბაზარი და გავიდეთ საერთაშორისო ბაზრებზე. კვლევაში ყურადღება გამახვილებულია ევროპის ბაზარზე ექსპორტის პოტენციალზე.

იმისათვის რომ მიღწეულ იქნას ეს მიზნები, ჟოლოს ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზის ფარგლებში მხედველობაში იქნა მიღებული შემდეგი ფაქტორები:

- ჟოლოს წარმოებასთან დაკავშირებული ფაქტორები;
- ჟოლოს ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეები და მათ შორის არსებული კავშირები;
- ხარჯებისა და ნამატების ანალიზი;
- შიდა ბაზრის სრულად ათვისებასთან და იმპორტის ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ფაქტორები;
- ევროპისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების ბაზრებზე ჟოლოს ექსპორტის პოტენციალი;
- ჟოლოს წამოებაში დასაქმების შესაძლებლობები;
- ჟოლოს ღირებულებათა ჯაჭვის „SWOT“ ანალიზი.

## 3. კვლევის მეთოდოლოგია

ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზის სხვადასხვა ეტაპებზე გამოყენებულ იქნა კვლევის შემდეგი მეთოდები:

- ლიტერატურის მიმოხილვა: მოხდა არსებული კვლევების, სტატიების, რეპორტების მიმოხილვა. ჩატარდა არსებული სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი.
- საველე კვლევა: კვლევის ფარგლებში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (CSO) წარმომადგენლება ჩაატარეს 23 პირისპირ ინტერვიუ. ასევე, ჩატარდა 4 სატელეფონო ინტერვიუ. ინტერვიუები ჩატარდა ფერმერებთან, აგრო-მაღაზიებთან, ექსპერტებთან, შესაბამისი სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან. წინასწარ მოხდა კითხვარების შედგენა ღირებულებათა ჯაჭვის ყველა რგოლისთვის, რომლის მიხედვითაც ტარდებოდა კონკრეტული გამოკითხვები. ასევე, კვლევის ფარგლებში ჩატარდა შეხვედრები სამ ფუკუს ჯგუფთან. თითოეულ ფოკუს ჯგუფს ესწრებოდა დაახლოებით 6 ფერმერი.

კვლევაში გამოყენებულ იქნა ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზის შემდეგი ხარისხობრივი ინსტრუმენტები:

- ღირებულებათა ჯაჭვის ასახვა, რაც ნიშნავს ჩატარებული ინტერვიუების, საველე სამუშაოებისა და ღირებულებათა ჯაჭვის ყველა მნიშვნელოვანი პროცესისა და მონაწილის, აგრეთვე მათ შორის არსებული პროცესების იდენტიფიცირებასა და ასახვას სპეციალურ ფორმაში (Grid Map);
- ჟოლოს სექტორთან დაკავშირებული მმართველობის, კოორდინაციისა და კონტროლის მექანიზმების ანალიზი, რაც გულისხმობს ჟოლოს სექტორში არსებული სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუციების, მარეგულირებელი ნორმებისა და სტანდარტების ანალიზსა და შეფასებას;
- ჟოლოს ღირებულებათა ჯაჭვის მოდერნიზაციის შესაძლებლობების ანალიზი.

ასევე კვლევაში გამოყენებულია ღირებულებათა ჯაჭვის შემდეგი რაოდენობრივი ინსტრუმენტები:

- ხარჯებისა და ნამატების ანალიზი - ჟოლოს წარმოებისას ღირებულებათა ჯაჭვის თითოეულ რგოლში შექმნილი დამატებითი ღირებულების განსაზღვრა ჯაჭვის თითოეული მონაწილისთვის. ეს გულისხმობს ხარჯების, მოგების, შემოსავლების განსაზღვრას ჯაჭვში;
- ჯაჭვში შემოსავლების გადანაწილების ანალიზი, რაც გულისხმობს მონაწილეების მიერ სხვადასხვა აქტივობებიდან მიღებული მთლიანი შემოსავლების განსაზღვრას;
- ჯაჭვის თითოეულ რგოლში დასაქმების მაჩვენებლების გადანაწილების ანალიზი და ზოგადად დასაქმების პოტენციალის განსაზღვრა.

### 3.1 პროდუქტის შერჩევა

2017 წლის 7-11 სექტემბერს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში გაიარეს სამ დღიანი ტრენინგი ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზში. ტრენინგი სრულად მოიცავდა ღირებულებათა ჯაჭვის ჩატარების ყველა ეტაპს. შემდგომ მოხდა დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში. მოწვეულ

სტუმრებს შორის იყვნენ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, ფერმერები, ექსპერტები, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები. შეხვედრის მიზანი იყო მხარეებს გამოევლინათ რეგიონისთვის პრიორიტეტული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

მონაწილეები საკვლევი კულტურის შერჩევისას შემდეგი კრიტერიუმებით ხელმძღვანელობდნენ:

- შიდა ბაზრის სრულყოფილი ათვისება და იმპორტის ჩანაცვლების პოტენციალი;
- ჟოლოს საექსპორტო პოტენციალი;
- დარგში არსებული ინოვაციური მიდგომები;
- დივერსიფიკაციის აუცილებლობა;
- კულტურის რელევანტურობა მცხეთა-მთიანეთის რეგიონისთვის (ტრადიცია, სასოფო-სამეურნეო ფართობები, კლიმატური პირობები და სხვა...).

დაინტერესებული მხარეების მიერ მოხდა შემდეგი პროდუქტების შერჩევა:

- ლობიო
- კარტოფილი
- პომიდორი
- ასკილი
- მაყვალი
- ტყემალი
- ჟოლო

შემდგომი კონსულტაციების, წინასწარი კვლევისა და სხვადასხვა მნიშვნელოვანი წყაროების მიმოხილვის შემდეგ, საბოლოოდ შერჩეულ იქნა ჟოლოს კულტურა.
დღესდღეობის არც თუ ისე ბევრი ფერმერია ჩართული ჟოლოს წარმოებაში და მცირე მაშტაბებით იწარმოება არამარტო მცხეთა-მთიანეთსი არამედ საქართველოს მაშტაბით. მიუხედავად ამისა თუმცა ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების მიხედვით და დაინტერესებულ მხარეებთან კომსულტაციების შედეგად მიჩნეულ იქნა, რომ ჟოლოს აქვს ყველაზე დიდი პოტენციალი აითვისოს შიდა ბაზარი და ასევე მოხდეს მისი ევროპის ბაზარზე გატანაც.

## 4. კვლევის შეზღუდვები

კვლევის მნიშვნელოვანი შეზღუდვაა ჟოლოს შესახებ არასრული სტატისტიკური ინფორმაცია. ასევე, ფოკუსჯგუფებისა და ჩატარებული ინტერვიუების სიმცირე, რეგიონში ჟოლოს მწარმოებელ ფერმერთა მცირე რაოდენობიდან გამომდინარე. როგორც გამოჩნდა ჟოლოს წარმოება უმეტეს შემთხვევაში ხდება საკუთარი მოხმარებისთვის.

კიდევ ერთი შეზღუდვა დაკავშირებულია ჟოლოს სექტორის შესახებ არსებული კვლევებისა და ანგარიშების სიმცირესთან.

# 5. კვლევის არეალი

## 5.1 მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ზოგადი დახასიათება

მცხეთა-მთიანეთის რეგიონი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში. მხარის ფართობი შეადგენს 6785 კვ.კმ-ს, რაც საქართველოს ტერიტორიის 10% –ს შეადგენს.[3]

რუქა 1: საქართველო და მისი რეგიონები

*წყარო: ვიკიპედია*

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მოსახლეობა შეადგენს 94 573 კაცს რაც ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის 2,5%-ს წარმოადგენს.[4] რეგიონის მოსახლეობის 3.8%-ს წარმოადგენს ეთნიკური უმცირესობები (ოსი, აზერბაიჯანელი, სომეხი, ასირიელი, რუსი). დღეისათვის, რეგიონის მოსახლეობის 40% მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრობს, ხოლო ყველაზე ნაკლები, 5% - ყაზბეგის მუნიციპალიტეტში. რეგიონში ურბანიზაციის დაბალი დონეა რადგან რეგიონის მთლიან მოსახლეობაში სოფლად მცხოვრებთა ხვედრითი წილი 75%-ს შეადგენს. (Census,2014)

[3] სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია: დუშეთის, თიანეთის, მცხეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში(mtskheta-mtianeti.gov.ge)

[4] მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა,Census 2014

რუკა 2: მცხეთა-მთიანეთი და მისი მუნიციპალიტეტები

მცხეთა-მთიანეთის მხარეში შედის შემდეგი თვითმმართველი ერთეულები: დუშეთის, თიანეთის, მცხეთის, ახალგორის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტები, ასევე თვითმმართველი ქალაქი მცხეთა. რეგიონში სულ 480 სოფელი, 6 დაბა და 2 ქალაქია. რეგიონი გამოირჩევა მცირე მოსახლიანი სოფლების სიმრავლით. მთელს რეგიონში მხოლოდ ერთი სოფელია 5 000 მოსახლით (მცხეთის მუნიციპალიტეტის ს. მუხრანი), რეგიონის მასშტაბით 50 სოფელში ცხოვრობს 10-ზე ნაკლები კაცი, ხოლო 60-მდე სოფელი პრაქტიკულად მოსახლის გარეშეა დარჩენილი.[5]

მცხეთა-მთიანეთში მეურნეობების უდიდეს ნაწილს (99,46%) წარმოადგენს შინამეურნეობები. (ცხრილი 1)

ცხრილი 1: მცხეთა-მთაინეთის მეურნეობების რაოდენობა მეურნის იურიდიული სტატუსის მიხედვით

| რეგიონი/მუნიციპალიტეტი | მეურნეობები, სულ | შინამეურნეობები | იურიდიული პირები |
|---|---|---|---|
| მცხეთა-მთიანეთი | 31773 | 31602 | 171 |
| ქ. მცხეთა | 1242 | 1225 | 17 |
| დუშეთი | 9800 | 9765 | 35 |
| თიანეთი | 4133 | 4130 | 3 |
| მცხეთა | 15181 | 15071 | 110 |
| ყაზბეგი | 1417 | 1411 | 6 |

*წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა*

## 5.2 მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სოფლის მეურნეობა

უახლესი მონაცემების თანახმად (საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აღწერა 2014)საქართველოს ტერიტრიაზე არის 778 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა, საიდანაც 47% (378 ათასი ჰექტარი) წარმოადგენს სახნავ-სათესი მიწას. მცხეთა-მთიანეთის რეგიონში განლაგებულია მთლიანი სასოფლო-სამეურნეო მიწების 2.6% და სახნავი მიწების 3.2%. (ცხრილი 2).

[5] სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია: დუშეთის, თიანეთის, მცხეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში(mtskheta-mtianeti.gov.ge)

ცხრილი 2: სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი მიწათსარგებლობის ფორმების მიხედვით (ჰა.).

| | სასოფლო-სამეურნეო მიწა | სახნავი | მრავალწლოვანი ნარგავებით დაკავებული მიწა | სათბურები | ბუნებრივი სათიბები და საძოვრები |
|---|---|---|---|---|---|
| **მცხეთა-მთიანეთი** | 20 829 | 12253 | 1238 | 25 | 7313 |
| ქ.მცხეთა | 264 | 184 | 20 | 0 | 60 |
| დუშეთი | 7171 | 4167 | 192 | 1 | 2810 |
| თიანეთი | 4790 | 1725 | 46 | 2 | 3017 |
| მცხეთა | 8124 | 6077 | 979 | 21 | 1047 |
| ყაზბეგი | 480 | 99 | 1 | 1 | 378 |

*წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა*

ცხრილი 3: სარგებლობაში არსებული საშუალო ნაკვეთების რაოდენობა და ფართობი

| | სარგებლობაში არსებული მიწის საშუალო ფართობი | სარგებლობაში არსებული ნაკვეთების საშუალო რაოდენობა | სარგებლობაში არსებული ნაკვეთების საშუალო ფართობი |
|---|---|---|---|
| **მცხეთა-მთიანეთი** | 0.7 | 1.9 | 0.37 |
| ქ.მცხეთა | 0.24 | 1.34 | 0.18 |
| დუშეთი | 0.78 | 2 | 0.39 |
| თიანეთი | 1.21 | 1.96 | 0.61 |
| მცხეთა | 0.58 | 1.86 | 0.31 |
| ყაზბეგი | 0.39 | 1.96 | 0.2 |

*წყარო: საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აღწერა 2014*

როგორც ვხედავთ, რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტისთვის, სარგებლობაში არსებული ნაკვეთის საშუალო ფართობი (0.61 ჰა.) ბევრად ნაკლებია ვიდრე იგივე მონაცემი მთელი საქართველოს მასშტაბით (1.31ჰა).

მუნიციპალიტეტების გეოგრაფიული მდებარეობა განაპირობებს სოფლის მეურნეობის მრავალი მიმართულების განვითარებას. აქ იწარმოება როგორც ერთწლიანი ისე მრავალწლიანი კულტურებიც, თუმცა მცირე მასშტაბებით. ეს სავარაუდოდ განპირობებულია სარგებლობაში არსებული მიწის საშუალო ფართობის სიმცირით.
რეგიონში ასევე მისდევენ მეცხოველეობას და მეფრინველეობას, თუმცა აქაც მცხეთა-მთიანეთი არ შედის ამ დარგების წამყვან რეგიონებში. რეგიონის კლიმატური პირობები და ნაყოფიერი ნიადაგი განაპირობებენ სოფლის მეურნეობის მაღალ პოტენციალს. რეგიონში არ არის ჟოლოს გადამამუშავებელი, ჩამბარებელი თუ შემნახველი პუნქტები რაც საკმაოდ დიდ ბარიერებს აწესებს მწარმოებლებისათვის.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით აგროსასურსათო სექტორში სულ 4249 საწარმო მოქმედებს 2017 წლის დასაწყისისათვის. აქდან მცხეთა-მთიანეთის რეგიონში

მდებარეობს ყველაზე ცოტა საწარმო რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი შემდეგ. მთლიანი საწრმოებიდან მხოლოდ 6% ახდენს ხილ-ბოსტნეულის გადამუშავებას.

ცხრილი 4: აგროსასურსათო სექტორში მოქმედი საწარმოების განაწილება რეგიონების მიხედვით

| რეგიონის დასახელება | მცირე საწარმო | საშუალო საწარმო | მსხვილი საწარმო |
|---|---|---|---|
| საქართველო | 3621 | 338 | 290 |
| ქ. თბილისი | 1483 | 144 | 126 |
| აჭარა | 283 | 32 | 15 |
| გურია | 104 | 7 | 11 |
| იმერეთი | 422 | 24 | 12 |
| კახეთი | 396 | 38 | 28 |
| **მცხეთა-მთიანეთი** | **61** | **4** | **8** |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 32 | 3 | 1 |

*წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო,2017*

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალი“ დაკავშირებულია მრავალწლიანი ნარგავების, მათ შორის ჟოლოს ბაღების გაშენებასთან და ამ პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია მრავალწლიანი ნარგაობების ბაღების გაშენება საქართველოს ყველა რეგიონში.

ცხრილი 5: დანერგე მომავლის მონაცემები რეგიონების ჭრილში

| **რეგიონი** | **ბენეფიციარების რაოდენობა** | **ფართობი** | **სააგენტოს თანადაფინანსება** |
|---|---|---|---|
| **სულ** | 519 | 3.599 | 18.048.524 |
| **კახეთი** | 129 | 1.211 | 5.208.736 |
| **მცხეთა-მთიანეთი** | 16 | 63.7 | 391.536 |
| **ქვემო ქართლი** | 79 | 515 | 2.306.735 |
| **სამეგრელო** | 38 | 311 | 823.196 |
| **იმერეთი** | 29 | 186 | 845.591 |
| **გურია** | 18 | 105 | 586.647 |

*წყარო: სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო*

სოფლის მეურნეობის 2017 წლის მონაცემების მიხედვით სულ საქართველოს მასშტაბით დანერგე მომავლის პროექტის ფარგლებში მოხდა 43.6 ჰექტარი ჟოლოს ბაღის გაშენება, აქედან 6,6 ჰექტარი გაშენდა უშუალოდ მცეთა-მთიანეთის რეგიონში.

# 6. სექტორის მოკლე მიმოხილვა

## 6.1 ჟოლოს წარმოება მსოფლიოში

ჟოლო არის მსოფლიოში ერთ-ერთ მნიშვნელოვანი და ფინანსურად მომგებიანი კენკროვანი კულტურა( N. Kljajić1, 2013). კარგად ცნობილია ჟოლოს გემოვნური და სამკურნალო თვისებები და საგულისხმოა, რომ ეს თვისებები სრულად ნარჩუნდება მისი გაყინვისას და ნაწილობრივ - თერმული დამუშავების შემთხვევაში. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (Food and Agriculture Organization (FAO)) მიხედვით, მსოფლიოში ჟოლოს მწარმოებელი 45 ქვეყანაა. სულ მსოფლიოში 2016 წელს წარმოებულ იქნა 795.249 ტონა ჟოლო. კონტინენტების მიხედვით ჟოლოს ყველაზე დიდი მწარმოებელი ევროპის რეგიონია. ევროპაში იწარმოება 498 353 ტონა რომელის არის მთლიანი წარმოების 62,7%. შემდეგ მოდის ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკა 280 415 ტონა ჟოლოს წარმოებით, რაც მთლიანი წარმოების 35,2%-ია. (ცხრილი 5)

ცხრილი 6: ჟოლოს წარმოება მსოფლიოში რეგიონების მიხედით

| **რეგიონი** | **ტონა** |
|---|---|
| **მსოფლიო** | **795 249** |
| აზია | 15 372 |
| აფრიკა | 404 |
| ევროპა | 498 353 |
| ოკეანეთი | 705 |
| ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკა | 280 415 |

*წყარო: FAOSTAT 2016*

მსოფლიოში ჟოლოს წარმოების მხრივ წამყვანი ქვეყანაა რუსეთი, რომლის წარმოება 2016 წელს იყო 164.602 ტონა, მას მოყვება ამერიკის შეერთებული შტატები - 137.829 ტონით, პოლონეთი - 129.063 ტონით, მექსიკა - 112.661 ტონით და მეხუთე ადგილზეა სერბეთი 61.875 ტონით. ამ ქვეყნებზე მოდის მსოფლიოში ჟოლოს წარმოების თითქმის 76%. ჟოლოს მწარმოებელი ქვეყნების ათეულში შედიან უკრაინა(31.920 ტონა), ჩილე(19.132 ტონა), ესპანეთი(17.808 ტონა) პორტუგალია(16.972 ტონა).[6](დიაგრამა 1)

[6] გაეროს საკვებისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, 2016

დიაგრამა 1: ჟოლოს მწარმოებელი ქვეყნები მსოფლიოში




*წყარო: FAOSTAT 2016*

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის 2017 წლის მონაცემების მიხედვით პოლონეთში 23% შემცირდა წარმოება, თუმცა მსოფლიოში ჟოლოს წარმოება მზარდი ტენდენციით ხასიათდება. (დიაგრამა 2)

დიაგრამა 2: ჟოლოს წარმოების მოცულობა მსოფლიოში (2007-2016 წლებში)




*წყარო: FAOSTAT 2016*

ჟოლო სულ უფრო პოპულარული ხდება და მასზე მოთხოვნა წლიდან წლამდე მატულობს მსოფლიოში.[7] ამერიკის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით, 2012 წელს ერთ სულ მოსახლეზე ჟოლოს მოხმარება გაიზარდა 475%-ით 2002 წელთან შედარებით. მოთხოვნის საპასუხოდ წარმოების ზრდის ტემპი მსოფლიოშიც იზრდება. (დიაგრამა 2)

დიაგრამა 3: ქვეყნები ჟოლოს ყველაზე მაღალი მოსავლით 1 ჰექტარზე




*წყარო: FAOSTAT 2016*

ჟოლოს მოყანის კუთხით ერთ ჰექტარზე ყველაზე დიდი მოსავალი მოდის მექსიკაში, ხოლო ჟოლოს წარმოების კუთხით პროდუქტიული ხუთეულის ბოლო ადგილს იკავებს დიდი ბრიტანეთი(9,6ტონა/ჰა). საშუალო მოსავალი მსოფლიოში ერთ ჰექტარზე არის 5.9 ტონა ჟოლო.[8]

## 6.2 ჟოლოთი ვაჭრობა მსოფლიოში

2016 წელის Comtrade-ის მონაცემებით მსოფლიოში ყველაზე დიდი რაოდენობით ნედლი ჟოლოს ექსპორტს ანხორციელებს მექსიკა. მას მოყვება ესპანეთი და აშშ.(ცხრილი 7)

[7] Global Fresh Berry Trends: Focus on the European Market
[8] გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, 2016

ცხრილი 7: ნედლი ჟოლოს ყველაზე მსხვილი ექსპორტიორი ქვეყნები მსოფლიოში

| იმპორტიორი ქვეყნები | ათასი ტონა |
|---|---|
| მექსიკა | 75.596 |
| ესპანეთი | 41.105 |
| აშშ | 27.990 |
| პოლონეთი | 14.860 |
| პორტუგალია | 14.420 |

*წყარო: Comtrade,2016*[9]

აშშ შედის როგოც იმპორტიორი ასევე ექსორტიორი ქვეყნების ტოპ ხუთეულში. პირველ ხუთეულში იმპორტის მიმართულებით ასევე შედის სამი ევროპული ქვეყანა.

ცხრილი 8: ნედლი ჟოლოს ყველაზე მსხვილი ექსპორტიორი ქვეყნები მსოფლიოში

| იმპორტიორი ქვეყნები | ათასი ტონა |
|---|---|
| აშშ | 92.424 |
| კანადა | 34.669 |
| გერმანია | 31.554 |
| დიდი ბრიტანეთი | 20.877 |
| საფრანგეთი | 20.428 |

*წყარო: trade,2016*[10]

თუმცა განსხვავებული სიტუაციია თუ შევხედავთ გაყინული ჟოლოს ექსპორტს მსოფლიოს მასშტაბით.

გაყინული ჟოლოს ყველაზე დიდი იმპორტიორი ქვეყანაა გერმანია. მსოფლიოში გაყინული ჟოლოს იმპორტის მოცულობის 22%(99 950 ტონა) მოდის გერმანიაზე. მას მოჰყვება საფრანგეთი, რომლის წილი შეადგენს 9%-ს.(ცხრილი 9)

გერმანიაში გაიყინული ჟოლოს იმპორტის 43%-ს ანხორციელებს სერბეთი და 30%-ს პოლონეთი. იგივე სიტუაციია საფრანგეშიც; გაყინული ჟოლოს იმპორტის 46% მოდის სერბეთზე ხოლო 11% პოლონეთზე.

[9] Comtrade-ის და Trademap-ის მეთოდოლოგიის მიხედვით ჟოლო გაერთიანებულია მაყვალის, თუთის დალოგანის კენკრას კატეგორიაში
[10] Comtrade-ის და Trademap-ის მეთოდოლოგიის მიხედვით ჟოლო გაერთიანებულია მაყვალის, თუთის დალოგანის კენკრას კატეგორიაში

ცხრილი 9: გაყინული ჟოლოს ყველაზე მსხვილი იმპორტიორები ქვეყნები მსოფლიოში

| იმპორტიორი ქვეყნები | ტონა |
|---|---|
| გერმანია | 99.950 |
| საფრანგეთი | 43.937 |
| აშშ | 42.938 |
| ბელგია | 30.894 |
| ჰოლანდია | 26.752 |
| ავსტრია | 22.191 |
| დიდი ბრიტანეთი | 19.926 |
| კანადა | 16.986 |
| რუსეთი | 14.978 |
| ბელარუსი | 14.569 |

*წყარო: trademap, 2016*

ევროკავშირი არის გაყინული ჟოლოს ყველაზე დიდი ბაზარი. გაყინული ჟოლოს როგორც იმპორტი ასევე მოხმარება  სტაბილურად იზრდება ევროპაში, რაც განპირობებულია ჟოლოს მზარდი პოპულარობით.

2016 წელს განხორციელდა 452 736 ტონა გაყინული ჟოლოს იმპორტირება მსოფლიოს მაშტაბით. აქედან დაახლოებით 69%-ის იმპორტირებას ახდენს ევროკავშირის ქვეყნები. გაზრდილია როგორც გაყინული ასევე ნედლი ჟოლოს იმპორტიც. 2013 წელთან შედარებით ევროპაში იმპორტირებული ნედლი ჟოლოს რაოდენობა 2017 წელს გაიზარდა 82%-ით, ხოლო 2016 წელთან შედარებით 13%-ით. რაც შეეხება გაყინულ ჟოლოს მისი იმპორტი გაიზარდა 2017 წელს გაიზარდა 20%-ით 2013 წელთან შედარებით და 2016 წელთან შედარებით 10%-ით.
გაყინული ჟოლოს იმპორტის საშუალო ფასი ევროკავშრის ქვეყნებში არის 2. 46 დოლარი.[11] ხოლო ნედლი ჟოლოს იმპორტის ღირებულება არის 7.59 დოლარი.

ევროკავშირში ჟოლოს მწარმოებლის საშუალო ფასი არის 5.28 დოლარი. რა თქმა უნდა ეს ფასი განხსვავდება ქვეყნების მიხედვით. ყველაზე დაბალი მწარმოებლი ფასი ევროკავშირის მასშტაბით არის პოლონეთში - 1.4 დოლარი, ხოლო ყველაზე მაღალი კი შვეიცარიაში 11.96 დოლარი.

ცხრილი 10: ჟოლოს მწარმოებლის ფასი (აშშ დოლარი/კგ, 2012-2016 წლებში. წყარო: Faostat)

| ქვეყანა | 2013 | 2014 | 2015 | 2016 |
|---|---|---|---|---|
| დანია | 11.72 | 12.03 | 9.76 | 10.05 |
| შვეიცარია | 12.53 | 12.85 | 12.24 | 11.96 |
| ბელგია | 16.57 | 13.53 | 13.68 | 8.24 |
| საფრანგეთი | 3.92 | 3.65 | 3.28 | - |
| გერმანია | 7.41 | 7.36 | 6.81 | 6.98 |
| ესპანეთი | 5.04 | 5.59 | 5.14 | - |
| პოლონეთი | 1.61 | 1.51 | 2.10 | 1.35 |

[11] ევროკავშირში იმპორტირებული ჟოლოს ღირებულება გაყოფილი იმპორტის რაოდენობაზე.

## 7. საქართველოს ჟოლოს სექტორის ანალიზი

ჟოლოს მოყვანა საქართველოში თითქმის ყველა რეგიონშია შესაძლებელი. იგი ჩვენთან ნაცნობი კულტურაა, თუმცა ძირითადად გავრცელებული იყო ველური ფორმით, მცირე მეურნეობებში და გამოიყენებოდა პირადი მოხმარებისთვის. ჟოლო მნიშვნელოვანი ხილია მისი საკვები ღირებულებიდან გამომდინარეც (ვიტამინებით, ორგანული მჟავები, ნახშირწყლები). ძირითადად საქართველოში მოიხმარენ ახალ, გაუყინავ ჟოლოს დესერტად. ასევე, ხდება მისი გადამუშავება შემდეგ პროდუქტებად: მურაბა, ჯემი, კომპოტი, სიროფი და ა.შ.

საქართველოში ჟოლოს წარმოება დღესდღეობითაც ოჯახურ საქმიანობად ითვლება. ჟოლოს ბაღები, ძირითადად, პატარაა მოცულობისაა და განლაგებულია 0,5 ჰექტარზე ნაკლებ ფართობებზე.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატი) ჟოლოს წარმოების მონაცემების გამოქვეყნება დაიწყო 2016 წლიდან. 2016 წელს ჟოლოს წარმოება მთელი საქართველოს მასშტაბით შეადგენს სულ 200 ტონას. 2017 წლის წინასწარი მონაცემების მიხედვით ჟოლოს წარმოება საქართველოში გაზრდილია 50%-ით. ოფიციალური მონაცემები რეგიონებში წარმოების მიხედვით არ არის ჩაშლილი საკმარისი დაკვირვებების არარსებობის გამო.

აღსანიშნავია ის ფაქტი რომ, საქსტატის 2017 წლის წინასწარი შედეგების მიხედვით, ჟოლო ერთადერთი კულტურაა მრავალწლიან კულტურათა შორის რომლის წარმოება 2016 წელთან შედარებით გაიზარდა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოპერატიული მონაცემების თანახმად ჟოლოს წარმოების მოცულობა საქართველოში ბევრად უფრო მაღალია ვიდრე ეს ოფიციალურ მონაცემებში დასტურდება. ამ მონაცემების თანახმად სულ საქართველოში იწარმოება 1016 ტონა ჟოლო. აქედან ყველაზე მეტი(47%) იწარმოება შიდა ქართლის რეგიონში.

იმავე მონაცემების თანახმად მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ჟოლო დარგულია 17.8 ჰექტარ მიწაზე და სულ იწარმოება 30 ტონა ჟოლო. მცხეთა-მთიანეთში ბევრია ახლად გაშენებული პლანტაცია რომელიც ჯერ მსხმოიარობაში არ შესულა, შესაბამისად წარმოება მომდევნო წლებში სავარაუდოდ ბევრად გაიზრდება. აღსანიშნავია ასევე რომ, ბევრია ისეთი ოჯახი რომლებსაც ჟოლო აქვს გაშენებული 30-40 კვადრატულ მეტრ მიწაზე და მოჰყავთ მხოლოდ საკუთარი მოხმარებისთვის. თუმცა როგორც კვლევიდან გამოვლინდა ჟოლოს წარმოებს საოჯახო მეურნეობებიდან თანდათან ინაცვლებს უფრო მასტაბურ წარმოებაში. რეგიონში ჟოლოს ფართობის მიხედვით მოწინავე ადგილბზეა მცხეთისა და დუშეთის მუნიციპალიტეტები.

დიაგრამა 4: ჟოლოს ფართობი მუნიციპალიტეტების მიხედვით




*წყარო: სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი*

მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით სულ მცხეთა-მთიანეთში არის 158 კენკრის მწარმოებელი ფერმერი, რაც საქართველოს მასშტაბით არსებული მეურნეობების 3%-ია. არსებული მეურნეობებიდან უდიდესი ნაწილი არიან ფერმერები რომელთაც მოსავალი მოჰყავთ 0,5ჰა-ზე ნაკლებ ფართობზე.

ცხრილი 11: მეურნეობები კენკროვნებით[12]

| რეგიონი/მუნიციპალიტეტი/ქალაქი | მეურნეობები კენკროვნებით, სულ |
|---|---|
| **ქ. მცხეთა** | 2 |
| **დუშეთი** | 12 |
| **თიანეთი** | 2 |
| **მცხეთა** | 141 |
| **ყაზბეგი** | 1 |
| **სულ მცხეთა-მთიანეთი:** | 158 |

*წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა*

თუმცა, ბოლო პერიოდში ჟოლოს წარმოებამ სხვა ფორმები და მასშტაბები შეიძინა, შინამეურნეობებიდან მისი მოყვანა ფერმერულ მეურნეობებში გადაიზარდა, სულ უფრო აქტუალური გახდა მისი დიდი რაოდენობით მოყვანა. ეს ცვლილება არაერთ მიზეზს უკავშირდება, რომელთაგან ერთ-ერთი მთავარია ის, რომ ჟოლო აღიარებულია

[12] მარწყვი, ჟოლო, მოცხარი, ხურტკმელი და სხვა.

სახელმწიფოს მიერ როგორც მაღალი რენტაბელურობის კენკროვანი კულტურა და მისი გაშენება სხვა კენკროვნებთან ერთად პრიორიტეტულადაა მიჩნეული.

როგორც კვლევის პროცელში ჩატარებული ინტერვიუებიდან გამოვლინდა დღესდღეობით ჟოლოს მოსავალი ვერ აკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნას და შესაბამისად თითქმის არ ხდება მისი ექსპორტირება საზღვარგარეთ.

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა რომ, გაზაფხულზე ჟოლოს ფასი მერყეობს 5-6 ლარამდე, ხოლო შემოდგომაზე 8-9 ლარამდე იზრდება ფასები რადგან რაოდენობა შემოდგომაზე შედარებით მცირეა. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შეგროვებული ინფორმაციის მიხედით ჟოლოს საშუალო ფასი მთელი საქართველოს მასშტაბით არის 5.5.

ასეთი მაღალი გასაყიდი ფასი განპირობებული წარმოების და კონკურენციის სიმცირით ბაზარზე. რა თქმა უნდა ჟოლოს გასაყიდი ფასი ხარსხების მიხედვითაც განსხვავდება. შედარებით ნაკლები(1-2 ლარით) ღირს დაზიანებული ჟოლო. ზამთარში ადგილობრივ ბაზარზე ქართული წარმოების ჟოლოს ანაცვლებს იმპორტირებული გაყინული ჟოლო, რომლის ფასი 25-32 ლარამდე მერყეობს.

დიაგრამა 5: ჟოლოს მწარმოებლის ფასები საქართველოში




*წყარო: მონაცემები მოწოდებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ*

## 7.1 ჟოლოს ექსპორტ-იმპორტი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით დღესდღეობით თითქმის არ ხდება ჟოლოს ექსპორტი სხვა ქვეყნებში. მცირე რაოდენობის გამო პროდუქტი ვერ აკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნასაც.

ადგილობრივ წარმოებას ანაცვლებს უცხოეთიდან შემოსული გაყინული ჟოლო. ბაზარზე არასეზონზე(ზამთარში) ქართული ჟოლო თითქმის არ არის.

დიაგრამა 6: ჟოლოს იმპორტი საქართველოში (2013-2017წლები)[13]




*წყარო: საქსტატი*

ადგილობრივ ბაზარზე ჟოლოზე მოთხოვნის ზრდაზე მეტყველებს ყოველწიურად გაზრდილი იმპორტი. საქართველოში ძირითადად ჟოლოს იმპორტირება ხდება პოლონეთიდან, ბელგიიდან და გერმანიიდან. იქედან გამომდინარე რომ ადგილობრივი პროდუქტი ზამთარში ბაზარზე არ არის იმოპორტირებულ ჟოლოს არ ყავს ადგილობრივი კონკურენტი და ჟოლოს ფასი ზამთარში ძალიან მაღალია. 1 კილოგრამი გაყინული ჟოლო სუპერმარკეტში 25-32 ლარამდე ღირს, რაც გაყინული ჟოლოსთვის საკმაოდ მაღალი ფასია. ჟოლო წარმოების გაზრდისა და სამაცივრე/სასაწყობე მეურნეობების განითარების პირობებში ქართველ ფერმერებს დიდი პოტენციალი აქვთ ჩაანაცვლონ იმპორტირებული პროდუქტი. მათ ასევე საშუალება ექნებათ შეინახოთ ჟოლო და გაყიდონ სასურველ დროს, მისაღებ ფასად.

მიუხედავად იმისა რომ დღესდღეობის ჟოლოს ექსპორტი თითქმის არ ხორციელდება ამ მიმათულებით საკმაოდ დიდი პოტენციალი არსებობს. მაისის ბოლოდან ივლისის შუა რიცხვებამდე ის პერიოდია, როდესაც ევროპაში კენკროვანი კულტურების კრეფის სეზონი ჯერ

[13] ჟოლოს იმპორტი გაერთიანებული მაყვალი, თუთას, ლოგანის კენკრა

არ დაწყებულა და ფასიც შესაბამისად მაღალია. ქართველ მეწარმეებს შეუძლიათ გამოიყენონ ეს შესაძლებლობა და სწორედ ამ პერიოდში მიაწოდონ ევროპის ბაზარს პროდუქცია.

## 7.2 ჟოლოს სახეობები და ჯიშები

ჟოლო მრავალწლიანი ბუჩქოვანი მცენარეა. ჟოლო გვხვდება როგორც ველურად, ასევე გაკულტურებული სახით. საქართველოში ძირითად გავრცელებულია ჟოლოს შემდეგი ჯიშები:

- ნოვა;
- კაროლინა;
- პატრიცია;
- ბიურისკინა;
- პოლკა;
- ჰერიტეჯი;
- რაშკა;
- ამერიკული ტულეიმინი;
- ჟოზეფინა;
- ჟაკლინი.

მსხმოიარობის მიხედვით ჯიშები იყოფა ორ ჯგუფად: ზაფხულში მსხმოიარე (ნოვა, კილარნი, ენკორი და სხვა) და შემოდგომაზე მსხმოარე (კაროლინა, პოლკა, ოტმან ბლისი, ოტმან ბრიტენი). ზაფხულის ჯიშები მოსავალს იძლევა ივლისიდან აგვისტოს ბოლომდე, და შემოდგომის ჯიშები აგვისტოდან ოქტომბრის ბოლომდე. სასურველია თუ ბაღები იქნება ორივე ჯიშით შევსებული რომ მთელი წლის მანძილზე მოხდეს მოსავლის აღება.

გამოკითხული ფერმერების 90% აქვს კაროლინას ჯიში და თვლიან რომ ეს ჯიში ყველაზე მეტად ეგუება ადგილობრივ პირობებს და მოსავლიანობითაც სჯობს სხვა ჯიშებს. ასევე შედარებით გავრცელებული ჯიშებია ჟოზეფინა და ნოვა.

ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი ახლადწარმოდგენი პერსპექტიული ჯიშების ბიოლოგიურ-სამეურნეო თვისებების დახასიათება.

ტულეიმინი: წარმოდგენს ზაფხულში მსხმოიარე ჟოლოს ჯიშს რომელიც ფართოდაა გავრცელებული მთელს მსოფლიოში და ერთ-ერთი საუკეთესო ჯიშია. დამწიფებას იწყებს ივლისის დასაწყისში და გრძელდება ივლისის შუა რიცხვებამდე.

ჰერიტეჯი: მსხმოიარობაში შედის შემოდგომაზე. ეს ჯიში გამოირჩევა დაავადებების მიმართ შედარებითი გამძლეობით. სიმწიფე იწყება აგვისტოს მეორე ნახევარში და გრძელდება ოქტომბრის მეორე დეკადამდე.

კაროლინა: შემოდგომაზე მსხმოიარე რემონტატული ჯიშია, ის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ჯიშია სამცხე-ჯავახეთში. გამოსადეგია ასევე სათბურებში წარმოებისათვის. დამწიფებას იწყებს დამწიფებას ივლისის ბოლოს და გრძელდება ოქტომბრის შუა რიცხვებამდე.[14]

[14] agrokavkaz.ge

# 8. კვლევის შედეგები

## 8.1 მცხეთა-მთაინეთის ჟოლოს სექტორის ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეები

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ჟოლოს ღირებულებათა ჯაჭვში მონაწილეობს შემდეგი რგოლები:

**სანერგეები**

რეგიონში არის რამოდენიმე ჟოლოს ნერგის მწარმოებელი. ძირითადად გავრცელებულია უცხოური ჯიშები რომელიც შემდგომ ადგილზე გამოყავთ. თუმცა, რეგიონში არ არის სერთიფიცირებული ნერგის მწარმოებელი. რაც შემდგომში წარმოშობს ნერგის ხარისხის პრობლემას. იქედან გამომდინარე რომ უხცოეთიდან შემოტანილი ნერგები არ არის ადაპტირებული ადგილობრივ გარემო პირობებთან, ხშირად ფერმერები ვერ იღებენ იმ რაოდენობის მოსავალს რასაც ელოდებიან.

**მცენარეთა დაცვის საშუალებების, სასუქების და მომწოდებლები**

ყველა მუნიციპალიტეტში არის სასუქებისა და პესიციდების მაღაზიები სადაც ფერმერებს შეუძლიათ საჭირო პროდუქციის შეძენა. ბოლო პერიოდში მოთხოვნის ზრდის გამო, მაღაზიებმა დაამატეს ბიოპროდუქტებიც. ასევე გაიზარდა მოთხოვნა ჟოლოსთვის საჭირო სასუქებზე და შხამ-ქიმიკატებზეც. უფრო მრავალფეროვანი არჩევანის გამო, ფერმერები სასუქებს და სხვა საშუალებებს ყიდულობენ გორის სასუქების და შხამ-ქიმიკატების მაღაზიიდან. პროდუქციას მოყვება ინსტრუქცია თუ როგორ უნდა გამოიყენონ ფერმერებმა ესა თუ ის საშუალება.

**ლაბორატორია და ირიგაცია**

კვლევის პროცესში გამოიკვეთა რომ ფერმერები არ აკეთებენ მიწის ანალიზს, რაც წარმოების დაწყების ერთ-ერთი პირველი ეტაპია. ამ სერვისის უგულებელყოფით სასუქების გამოყენება ნაკლებ-ეფექტურია რადგან განსაზღვრული არ არის ნიადაგის საჭიროებები. ნიადაგის ანალიზის შემდგომ უნდა მოხდეს სპეციალური რეკომენდაციების შემუშავება სპეციალისტების მიერ. ასევე აუცილებელია ჟოლოს პლანტაციაში დამონტაჟებული იყოს წვეთოვანი მორწყვის სისტემა, რომელიც აუცილებლობას წარმოადგენს კენკროვანი მცენარის წარმოების შემთხვებაში. წვეთოვანი სარწყავი სისტემის დამონტაჟება ერთ ჰექტარზე 6000 ლარი ღირს, თუმცა „დანერგე მომავლის“ პროგრამაში მონაწილეობის შემთხვევაში ხარჯების ნაწილს სახელმწიფო ანაზღაურებს. მორწყვის სისტემის არარსებობის შემთვევაში  მოსავლიანობა ჰექტარზე საგრძნობლად შემცირდება.

**გადამამუშავებლები/სამაცივრეები**

გამოვლინდა რომ რეგიონში არ არსებობს ჟოლოს გადამამუშავებელი ქარხანა. ასევე რეგიონში არ არის სამაცივრე და სასაწყობე მეურნეობა, სადაც მოხდება ჟოლოს შესაბამისი სტანდარტებით შენახვა. ჟოლოს წარმოების მცირე მასშტაბებიდან გამომდინარე, მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე ხდება ნედლი ჟოლოს გაყიდვა. ეს ბაზრებია ძირითადად მცხეთა-მთიანეთის მუნიციპალიტეტების ბაზრები და დედაქალაქის ბაზრები. მოთხოვნა იმდენად მაღალია ფერმერებს არ უჭირთ  ჟოლოს მალევე (ერთ ან ორ დღეში) გაყიდვა და ამიტომ ამ ეტაპზე არ არსებობს სამაცივრე მოწყობილობების და გადამამუშავებლების არსებობის აუცილებლობა. წარმოების შემდგომი ზრდა გაართულებს სწრაფ რეალიზაციას, რაც წარმოშობს მოსავლის შენახვის აუცილებლობას. შესაბამისად,  ეს გახდება პრობლემატური

რგოლი ჯაჭვში და პროდუქციის დასაწყობებისა და გაყინულად შენახვის გარეშე რეალიზაცია გართულდება. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ სამაცივრე მეურნეობებისა და გადამამუშავებლების გარეშე, პროდუქციის მოცულობის ზრდაც არ მოხერხდება. ასე, რომ ეს ორი საკითხი ერთმანეთთან პირდაპირპროპორციულად დაკავშირებული თემებია და თითოეულის განვითარება მხოლოდ კომპლექსური მიდგომითაა შესაძლებელი.

გადამამუშავებლების განვითარებას ხელს უშლის ჟოლოს სიმცირე და შედარებით მაღალი ფასი, რომელიც ამ ეტაპისთვის არსებობს საქართველოს ბაზარზე. ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა რომ ფერმერებს ძირითადად არ უღირს გადამამუშავებლებს ჩააბარონ პროდუქცია რადგან ისინი 1 კილოგრამ ჟოლოში მხოლოდ 2-3 ლარს სთავაზობენ. გადამამუშავებლების აზრით, პროდუქციის სიმცირის გამო, ბაზარზე ჟოლოს ძალიან მაღალი ფასი აქვს და თვლიან რომ წარმოების ზრდასთან ერთად ეს ფასი შემცირდება. აქედან გამომდინარე მათ შესაძლებლობა მიეცემათ მეტი ჟოლო გადაამუშაონ.

**მცირე ფერმერები, რომლებიც მხოლოდ ჭიშკართან მეზობლებზე და ადგილობრივ ბაზარზე ყიდიან ჟოლოს**

კვლევის ფარგლებში გამოკითხული ფერმერებს ჟოლო დარგული აქვთ საშუალოდ 0,3ჰა ფართობზე. ეს ფერმერები ძირითადად ჭიშკართან მეზობლებზე ყიდიან ჟოლოს ან ადგილობრივ ბაზარზე. ჭიშკართან საშუალოდ ერთ მყიდველზე ყიდიან 5-10კგ ჟოლოს. უმეტესობა ჟოლოს ტრანსპორტირებას ადგილობრივ ბაზარზე ახდენს თავად. თუმცა, მათ შორის ბევრია ისეთი რომელებიც ჟოლოს საკუთარი მოხმარებისთვის აწარმოებენ. გამოკითხულთა უმეტესობა ამბობს რომ ჟოლო საცდელად დარგო და მას შემდეგ რაც გაერკვევიან წარმოების სპეციფიკაში აპირებენ რომ გააფართოონ წამოება. ამ ფერმერების ინფორმაციასთან წვდომა საკმაოდ მწირია. ძირითადად ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას უზიარებენ და სასუქებსა და პესტიციდებს საკუთარი რისკის ხარჯზე იყენებენ, რადგან რეგიონში თითქმის არ არსებობს დარგის სპეციალისტები რომლებიც კვალიფიციურ რჩევებს მისცემდათ ჟოლოს წარმოების სხვადასხვა ეტაპებზე.

**საშუალო ზომის ფერმერები, რომლებიც ჭიშკართან მეზობლებზე და ადგილობრივ ბაზარზე, გადამყიდველებზე, საკონდიტროებზე ყიდიან ჟოლოს**

ამ ფერმერთა ჯგუფში შედიან ჟოლოს მწარმოებლები რომელთაც 0,5ჰა-ზე მეტ ფართობზე აქვთ ჟოლო დარგული. ეს ფერმერები თანამშრომლობენ შუამავლებთან, რომლებიც თვითონ აკითხავენ ადგილზე ჟოლოს და მიაქვთ. არის შემთხვევები როდესაც შუამავლები თავად კრეფენ ჟოლს და ამ შემთხვევაში ჟოლოს ფასი ნაკლებია. ფერმერები ჟოლოს ყიდიან ასევე საკონდიტრო მაღაზიებზე. მათ ასევე ჩააქვთ და თბილისის ბაზარზეც ყიდიან ჟოლოს პირდაპირ მომხმარებელზე. პროდუქციის დეფიციტური ხასიათის გამო მისი რეალიზაცია მარტივად და სწრაფად ხდება.

კვლევის შედეგად გამოვლინდა რომ ფერმერებს ექსპორტზე ჯერ არ უფიქრიათ, არასაკმარისი წარმოების გამო. სამომავლოდ გეგმავენ გაერთიანებას დაინტერესებულ ფერმერებთან და ამ გზით რაოდენობის გაზრდას, რათა მოაგროვონ ევროპის ბაზარზე შესასვლელად საჭირო რაოდენობა.

**შუამავლები**

ღირებულებათა ჯაჭვის ეს რგოლი ძირითადად ადგილზე მიდის ბაღში და ასე ახდენს პროდუქციის შესყიდვას. საშუალო ფერმერების დიდი ნაწილი სწორედ მათი მეშვეობით

ყიდის პროდუქციას. შუამავლები პროდუქციას აბარებენ საკონდიტროებს და მარკეტებს. არის შემთხვევები როდესაც ისინი თავად ყიდიან პროდუქციას გადაყიდვის გარეშე.

**საცალო მოვაჭრეები ბაზარში**

საცალოო მოვაჭრეები ადგილობრივ მცხეთა-მთიანეთის მუნიციპანილეტის ბაზრებში ყიდიან მცირე და საშუალო ფერმერების მიწოდებულ ჟოლოს. საცალო მოვაჭრეები ასევე გვხვდება თბილისის ბაზრებში სადაც პროდუქციის მიწოდება ხდება შუამავლების მეშვეობით.

**სუპერმარკეტები**

ჟოლოს ღირებულებათა ჯაჭვის ერთ-ერთ საბოლოო საფეხურს წარმოადგენს სუპერმარკეტები. კვლევის ფარგლებში გამოკითხულ ფერმერებს არ აქვთ კავშირი არცერთ სუპერმარკეტთან. ეს გამოწვეულია წარმოებული პროსუქციის სიმცირით. აქედან გამომდინარე დიდ სუპერმარკეტებს ურჩევნიათ ჩაიბარონ შუამავლებისგან. სუპერმარკეტებში სეზონზე იყიდება ქართული პროდუქცია, თუმცა, დახლებზე არასეზონზე ქართულის ჩანაცვლება ხდება იმპორტირებული პროდუქციით.

**საკონდიტრო მაღაზიები**

საშუალო ზომის ჟოლოს ფერმერებისგან პროდუქციას ასევე ყიდულობენ საკონდიტრო მაღაზიები. ჟოლოს გამოყენება საკონდიტრო ნაწარმში სულ უფრო პოპულარული ხდება. ჟოლოს ყიდულობენ როგორც ადგილობრივად, რეგიონში არსებული საკონდიტროები ასევე დედაქალაქის საკონდიტრო მაღაზიები. ადგილობრივი მაღაზიები ძირითადად პროდუქტს ყიდულობენ უშალოდ ფერმერისგან.

**მომხმარებელი**

როგორც უკვე აღინიშნა ჟოლოს ექსპორტი არ ხდება მისი წარმოების მცირე მასშტაბებიდან გამომდინარე. მომხმარებელი პროდუქტის შეძენას შეუძლია როგორც სუპერმარკეტში ასევე ღია ბაზრობებზე. საქართველოში ჟოლოს გამოყენება ხდება როგორც ნედლი სახით, ასევე საოჯახო მეურნეობების დონეზე მურაბების, ჯემების, კომპოტების დასამზადებალად და ასევე საკონდიტრო წარმოებაში.

## 8.2 მცხეთა-მთიანეთის ჟოლოს ღირებულებათა ჯაჭვის ასახვა

დიაგრამა 7: ჟოლოს არსებული ღირებულებათა ჯაჭვის ასახვა (Grid Map)




დიაგრამა 7-ზე ასახულია ჟოლოს არსებული ღირებულებათა ჯაჭვი, რომლის ძირითადი მონაწილეებია არიან მცირე და საშუალო ფემერები. დიაგრამა 8-ზე ასახულია ჰიპოტეტური ჯაჭვი სადაც წერტილოვანი ხაზით აღნიშნულია ჟოლო სამაცივრე და სასაწყობე მეურნეობა. ამ რგოლის დამატებით ჯაჭვში შეიქმნება დამატებითი ღირებულება. შესაძლებელია რომ ფერმერებმა პირდაპირ სამაცივრე/სასაწყობე მეურნეობებს მიყიდონ პროდუქცია. მათ ასევე შეეძლებათ შეინახონ პროდუქცია და სასურველ დროს გაყიდონ.

დიაგრამა 8: ჟოლოს ჰიპოთეტური ღირებულებათა ჯაჭვის ასახვა (Grid Map)




## 8.3 ჟოლოს ღირებულებათა ჯაჭვზე მოქმედი გარე ფაქტორები

**სახელმწიფო უწყებები და საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები**

ყველა მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო ცენტრები რომლებიც ავრცელებენ ინფორმაციას სოფლის მეურნეობის სამინისტროსა თუ დონორი ორგანიზაციის მიერ ინიცირებული ნებისმიერი პროექტის შესახებ. დაინტერესებულ ფერმერებს ისინი აწვდიან ინფორმაციას ჟოლოს წარმოებასთან დაკავშირებით. თუმცა მათ არ ყავთ ამ დარგის მცოდნე აგრონომი რომელსაც შეეძლება კვალიფიციური რეკომენდაციების მიცემა ჟოლოს მწარმოებელი ფერმერებისთვის.

ჟოლოთი დაინტერესება ბოლო წლებში სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებულმა პროგრამამ, „დანერგე მომავალი“ გააძლიერა. ამ პროგრამის განხორციელება სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2015 წლიდან დაიწყო და მისფარგლებშიც ხორციელდება კენკროვანი ხილის ბაღების და სანერგე მეურნეობების თანადაფინანსებაც. ჟოლოს პლანტაციის დაფინანსება ხდება საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. პროექტის მიხედვით სახელმწიფოს დაფინანსების წილი არის 70 %, წვეთოვანი სარწყავის ღირებულების 50%, და სანერგე მეურნეობის 50%. ეს პროექტი ითვალისწინებს აგრეთვე ტექნიკური მხარდაჭერას, რაც

გულისხმობს ფერმერების ტრენინიგს ამ მიმართულებით. ამ პროგრამის ერთი მნიშვნელოვანი შეზღუდვა რაც გამოვლინდა კვლევის პროცესში. ბევრმა რესპოდენტმა აღნიშნა რომ მათ ვერ მიიღეს მონაწილეობა „დანერგე მომავლის“ პროგრამაში რადგან პროგრამაში მონაწილეობისათვის საჭიროა 1 ჰექტარის ოდენობით მინიმალური ფართობი. ამ შეზღუდვის გამო ბევრმა ფერმერმა ვერ შეძლო პროგრამით სარგებლობა.

**საერთაშორისო ორგანიზაციები**

USAID მიერ დაფინანსებული პროექტი „ზრდა“ საქართველოს რეგიონებში კეკნროვანი კულტურების სანერგე მეურნეობების მოშენების მიზნით, გასცემს გრანტებს, რაც ფინანსურ ასპექტთან ერთად ითვალისწინებს ტექნიკური დახმარების კომპონენტსაც (ტრენინგები და კონსულტაციები).პროგრამის ძირითადი საქმიანობა მოიცავს მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებას ისეთ პრიორიტეტულ სექტორებში, როგორიცაა: ხეხილის ბაღები, კენკრის წარმოება, ბოსტნეულის წარმოება, მეფუტკრეობა, ტურიზმი და მომსახურების დარგი (მათ შორის, ინფორმაციული ტექნოლოგიები).

ასევე USAID ისე მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში "ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების ინიციატივა" (NEO) შიდა ქართლსა და მცხეთა-მთიანეთში კენკრის ინტენსიური ბაღების მოწყობის მიზნით საგრანტო კონკურსს გამოცხადდა. რომელიც ასვე ორივე კომპონენეტს ითვალისწინებდა ფინსანსურს და საგანმანათლებლოს.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მუშაობს ასევე USAID-ის პროექტი REAP, რომლის ფარგლებში რამოდენიმე გადამამუშავებელმა მიიღო დაფინანსება.

**ფინანსური ინსტიტუტები (ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და სადაზღვევო კომპანიები)**

მცირე ფერმერებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა პრობლემაა როგორც ზოგადად საქართველოს სოფლის მეურნეობაში ასევე ჟოლოს სექტორში. ჟოლოს ბაღის გაშენება და მოვლა არც თუ ისე მცირე ხარჯებთანაა დაკავშირებული, შესაბამისად წვდომა ფინანსებზე მნიშვნელოვანი კომპონენტია და ფარმერები განიხილავენ როგორც წარმოების ხელისშემშლელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად. ბანკები არ გასცემენ გრძელვადიან კრედიტებს პატარა ფერმერებზე უზრუნველყოფის გარეშე. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები კი სესხებს გასცემენ საკმაოდ მაღალი პროცენტით.

მიუხედავად იმისა, რომ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა ფერმერების შემთხვევაში ხშირად განიხილება როგორც მათი საქმიანობისთვის ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ დანერგილი შეღავათიანი აგროკრედიტი პროგრამით ბევრმა ფერმერმა შეძლო სარგებლობა. ასევე პროგრამა „ დანერგე მომავალი“ მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ამ დარგში ჩართულ ფერმერებს. იქედან გამომდინარე რომ ჟოლო მცხეთა-მთიანეთში მცირე მასშტაბებზე იწარმოება ჯერჯერობით სესხი მხოლოდ რამოდენიმე რესპოდენტს აქვს ანაღები.

**სექტორული ასოციცია**

2017 წლის იანვარში შეიქმნა საქათველოს კენკროვანი ხილის მწარმოებეთა ასოციაცია რომლის მიზანია:

- კენკრის წარმოების და გადამუშავების დანერგვა და პოპულიზაცია;
- სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი კანონმდებლობის ლობირება;
- მომხმარებელთა უფლებების დაცვა;

- ფერმერებისათვის კვალიფიციური სამრჩევლო სამსახურის ჩამოყალიბება;
- კენკროვანი პროდუქტების ბაზრის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- საქართველოში კენკროვანი მეურნეობების რაოდენობისა და თვისობრივი მაჩვენებლების ზრდის ხელშეწყობა, სერტიფიცირება და ექსპორტზე გატანა.

**კვლევითი ორგანიზაციები**

არ ხდება დარგის ძირფესვიანი კვლევა, რაც სავარაუდოდ გამოწვეულია იმით რომ ჟოლოს ინტენსიური წარმოება რამოდენიმე წლის წინ დაიწყო საქართველოში. დარგის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კვალიფიციური კვლევები და შესაბამისი რეკომენდაციები.

# 9. ხარჯებისა და ნამატების ანალიზი

## 9.1 მწარმოელთა დანახარჯები და შემოსავლები

ჟოლო მაღალშემოსავლიან კულტურად ითვლება, რადგან მასზე ფასი სტაბილურად მაღალია. იგი დარგვიდან პირველივე წელს იწყებს მოსავლის მოცემას (30%), მეორე წელს მოდის სრული მოსავლის 70%, ხოლო მესამე წელს სრულ მსხმოიარეობაში შედის.

უნდა აღინიშნოს რომ ქვემოთ წარმოდგენილი ანალიზი მოცემულია იმ შემთხვევისთვის როდესაც ჟოლოს ბაღის მოვლა ხდება სწორი აგრო პრაქტიკის გამოყენებით და აგრო ვადების დაცვით.

ჟოლოს ბაღის გაშენების ერთ-ერთი პირველი საფეხურია ნიადაგის ანალიზი. მიწის ანალიზის საშუალო ფასია 100 ლარი. ნიადაგში არსებული პრობლემების გამოსწორება ყოველთვის უფრო მარტივია მანამ სანამ კულტურის დაგრვა მოხდება. ნიმუშების აღება უნდა მოხდევს ნაკვეთს რამოდენიმე ადგილიდან. ნიადაგი უნდა შემოწმდეს შემდეგ კომპონენტებზე: pH-ის შემცველობაზე, ორგანული ნივთიერებზე, მარილიანობაზე, მაკრო და მიკრო ელემენტების შემცველობასა და ნემატოდებზე.[15]

1 ჰექტარზე ჟოლოს გაშენება დაახლოებით 25000-30000 ლარამდე ჯდება, სერთიფიცირებული ნერგითა და სარწყავი სისტემით. 1 ჰექტრისთვის წვეთოვანი სარწყავი სისტემის ფასია 6000 ლარი, ფილტრების საშუალოფასი არის 4000ლარი. ჰექტარზე შესაძლებელია 7000-9000 ნერგის დარგვა. ძირებს შორის დაშორება სასურველია იყოს 35 სანტიმეტრი, ხოლო რიგებს შორის დაშორება 2 მეტრი მაინც რათა ტექნიკის გამოყენების შემთხვევაში არ გაჭირდეს მათი გადაადგილება. ერთი ნერგი საშუალოდ ღირს 1-2,5 ლარი ადგილობრივ სანერგეებში. ხოლო რაც შეეხება ნერგის ფასს რომელიც ჩამოტანაც ხდება სხვა ქვეყნებიდან, ფასი 6,5 ლარსაც კი აღწევს.

1 ჰექტარ მიწაზე საჭიროა დაახლოებით 600-800 ლარის ღირებულების სასუქი. მნიშვნელოვანია ჟოლოს პლანტაციის დაცვა მავნებელ-დაავადებებისაგან. სეზონის განმავლობაში აუცილებელია პლანტაციის 4-5 ჯერ შესხურება მავნებლებისგან დაცვის მიზნით. დაახლოებით 1200-1500 ლარის შხამ-ქიმიკატები სჭირდება ერთი ჰექტარი ჟოლოს პლანტაციას.

ჟოლოს ნაყოფი საკმაოდ სათუთია ამიტომ მისი დაზიანების თავიდან ასაცილებლად ხშირად ფერმერები იმ ჭურჭელში ალაგებენ პროდუქტს რომლითაც მისი გადაგზავნა ხდება გასაყიდად. კრეფისას ფერმერები ხშირად იყენებენ ორ საკრეფ კონტეინერს, ერთში იდება მსხვილი ნაყოფები, მეორეში საშუალო და წვრილი ნაყოფები. ასე მათ უადვილედებათ დახარისხების პრობლემა. ჟოლოს ნაყოფები არათანაბრად მწიფდება, ამიტომ ყოველ ორ დღეში საჭიროა კრეფა. მსხმოიარობის სეზონი, ძირითადად, ორჯერაა: ივნისადან - აგვისტომდე და სექტემბიდან - ნოემბრამდე. დაქირავებული მუშის/მკრეფავის დღიური ხელფასი შეადგენს 25-30 ლარს.

პლანტაციის ექსპლუატაციის ხანგრძლივობა 10-12 წელიწადია. შესაბამისი მოვლის პირობებში შესაძლებელია 1 ჰექტარზე 8-10 ტონა მოსავლის აღება. მსოფლიოში წამყვან

[15] USAID, NEO,2014

ქვეყნებში ჟოლოს წარმოებით (აშშ, შვეიცარია) ინტენსიური მოვლის პირობებში 1 ჰექტარზე 15-18 ტონა მოსავალსაც იღებენ.[16]

შემოსავალი რა თქმა უნდა განისაზღვრება ჟოლოს მოსავლიანობითა, მისი ხარისხით და ფასით. წმინდა შემოსავალი 1 ჰექტარზე გადაანგარიშებით საშუალო მოსავლიანობის (8 ტ/ჰა) პირობებში 22.410 ლარს შეადგენს.

ინტერვიუებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მოხდა სხვადასხვა ეკონომიკური ინდიკატორის დაანგარიშება. ჟოლოს მოყვანის შედეგად მიღებული საშუალო წლიური შემოსავალი შეადგენს 34.000 ლარი/ჰა, საშუალო დანახარჯი კი 11.590 ლარი/ჰა, ხოლო საშუალო მოგება 22.410 ლარი/ჰა. გაანგარიშებისათვის საშუალო ფასი აღებულია 5 ლარი, თუმცა როგორც ინტევიუებიდან გამოვლინდა შემოდგომაზე ჟოლოს ფასი იმატებს, მაგრამ კალკულაციებისთვის აღებულია მინიმალური ფასი.

ცხრილი 12: ჟოლოს წარმოების ეკონომიკური ინდიკატორები[17]

| # | ინდიკატორები | შედეგები |
|---|---|---|
| 1 | მთლიანი ხარჯი (ლარი) | 11.590 |
| 2 | მოსავალი (კგ/ჰა) | 6.800 |
| 3 | საშუალო გასაყიდი ფასი (ლარი/კგ) | 5 |
| 4 | შემოსავლები (ლარი) | 34.000 |
| 5 | მოგება (ლარი) | 22.410 |
| 6 | თვითღირებულება (ლარი/კგ) | 1.7 |
| 7 | მოგების მარჟა (ლარი/კგ) | 3.29 |
| 8 | მოგების მარჟა (%) | 65% |

*წყარო: ავტორის გაანგარიშება ინტერვიუებიდან მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით. იმ დაშვებით რომ 1 ჰექტარზე მოსავლიანობა არის 8 ტონა ჟოლო, ასევე გათვალისწინებულის 15%-იანი დანაკარგი.*

ჟოლოს ხარჯების დათვლისას აღებულია ჟოლოს მოვლის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი, როდესაც ფერმერი ჟოლოს ბაღს საუკეთესო აგრო პრაქტიკის გამოყენებით უვლის. მთლიან დანახარჯებში ყველაზე დიდი წილი უჭირავს ჟოლოს კრეფისას მუშაზე გაწეულ დანახარჯებს. ერთი მუშის ხელფასი დღეში შედგენს 25-30 ლარს. ეს გაანგარიშება გაკეთებულია რემონტატული ჯიშის ჟოლოს შემთხვევაში, როდესაც მოსავალს კრეფა ყოველ მეორე დღეს სჭირდება.

მთლიან ხარჯში შესულია ერთი ჰექტარი ჟოლოს მოვლის დანახარჯები. 1 კილოგრამი ჟოლოს თვითღირებულება არის 1.7 ლარი.

## 9.2 დამატებული ღირებულების ანალიზი

ჯაჭვის სხვადასხვა რგოლებს შორის ფასების სხვაობა არის დამატებული ღირებულება ჯაჭვის თითოეულ რგოლზე. იქედან გამომდინარე რომ ძირითადად ჟოლო საქართველოში

[16] agronews.ge

[17] ხარჯები 1 ჰექტარზე გაანგარიშებით: მიწის დამუშავება - 300 ლარი, სარეველების მოშორება - 240 ლარი, სასუქის შეძენა/შეტანა - 800 ლარი, ჰერბიციდები და სხვა დამცავი და სამკურნალო საშუალებების შეძენა/ შეტანა - 1500 ლარი, კრეფა 7500 ლარი, ტრანსპორტირება 250ლარი, დარაჯი - 1000 ლარი.

მოიხმარება ცოცხლად, გადამუშავებისა და გაყინვის გრეშე, ჯაჭვში არც თუ ისე დიდი ღირებულების აკუმულირება ხდება.

ცხრილი 13: დამატებული ღირებულება ჯაჭვის თითოეულ რგოლში

*წყარო: ავტორის გაანგარიშება ინტერვიუებზე დაყრდნობით*[18]

როგორც უკვე აღინიშნა პროდუქციის რეალიზაცია ხდება ძირითადად ადგილობრივ და თბილისის ბაზრებზე. ადგილობრივ ბაზარზე ხდება ნედლი ჟოლოს გაყიდვა. გაყინული ჟოლოს შემოტანა ხდება არასეზონზე იმპორტის გზით. ღირებულებათა ჯაჭვში ხდება 1 კილოგრამ ჟოლოზე სულ 5.3 ლარის გენერირება. საინტერესოა დავაკვირდეთ ჯაჭვში ღირებულებულების განაწილებას მონაწილეებს შორის.

ცხრილი 14: მონაწილეების მიხედვით ღირებულების განაწილება ჯაჭვში

*წყარო: ავტორის გაანგარიშება*

ასევე განვიხილოთ ალტერნატიული, ჰიპოთეტური ღირებულებათა ჯაჭვი, რომელშიც მოცემული იქნება მაცივრებისა და შესანახი მეურნეობების ხარჯები. სექტორის ექსპერტების ინფორმაციით, ჟოლოს მაცივარში შენახვის დანახარჯი შეიძლება განვსაზღვროთ ერთ კილოგრამისთვის 10 დღეზე მაქსიმუმ 10-15 თეთრი, თუ რა თქმა უნდა ფერმერი 10 დღეში მოახერხებს ჟოლოს რეალიზებას. უფრო დიდი ვადით შენახვის შემთხვევაში ეს ხარჯი კიდევ უფრო გაიზრდება. რაც შეეხება სწრაფი გაყინვას მისი ხარჯი კილოგრამზე 50 თეთრით განისაზღვრება.

[18] *შენიშვნა: იგულისხმება რომ ჟოლოს თვითღირებულება ფერმერისთვის არის 1.7 ლარი/კგ*

ცხრილი 15: დამატებული ღირებულება ალტერნალიული ჯაჭვის თითოეულ რგოლში




*წყარო: ავტორის გაანგარიშება ინტერვიუებზე დაყრდნობით*[19]

იმ შემთხვევაში თუ ფერმერი რეალიზაციამდე ჟოლოს შეინახავს სამაცივრე მეურნეობაში, დამატებითი ღირებულება შექმნილი ფერმერის მიერ გაიზრდება. რა თქმა უნდა, ეს მცირედით გააძვირებს ჟოლოს სარეალიზაციო ფასს, თუმცა გაზრდილი წამოების და მიწოდების პირობებში მოხდება ჟოლოს ფასის შემცირება.

## 9.3 სავაჭრო კავშირები და საექსპორტო პოტენციალი

იქედან გამომდინარე რომ თითქმის არ ხდება ჟოლოს ექსპორტი საქართველოდან საინტერესოა განვიხილოთ ის შესაძლებლობები რასაც უცხოური ბაზრები გვთავაზობს. საქართველო არის შემდეგი მნიშვნელოვანი სავაჭრო გაერთიანებების წევრი[20]:

- უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (Most-Favored-Nation)
- პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა (Generalized System of Preferences - GSP)
- მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ
- 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ზონის შქმნის შესახებ (DCFTA) შეთანხმება.
- ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ

DCFTA სარგებლის მომტანი იქნება ჟოლოს მწარმოებლებისათვის საქართველოში რამოდენიმე თვალსაზრისით. პირველ რიგში მოხდება ჟოლოს ხარისხის გაუმჯობესება დ მოქალაქეებს წვდომა ექნებათ უკეთესი ხარისხის პროდუქციასთან შიდა ბაზარზე და უფრო შორეული პერსპექტივით, გაეზრდებათ შემოსავლები ევროპასთან ინტეგრაციის შედეგად სტიმულირებული ახალი ბიზნეს-შესაძლებლობებისა და ეკონომიკური ზრდის გამო.

ევროკავშირთან სავაჭრო ხელშეკრულება ჟოლოს მწარმოებლებს საქართველოში სთავაზობს ევროპის ბაზარზე გასვლის შესაძლებლობებს. თუმცა რასაკვირველია ეს შესაძლებლობები დაკავშირებულია რეგულაციებთან და სტანდარტებთან რომელიც უნდა დააკმაყოფილოს ჟოლოს მწარმოებელმა ევროკავშირში პროდუქტის გასატანად. პირველ რიგში რა თქმა უნდა ჟოლო უნდა იყოს საკვებად უსაფრთხო. ნებისმიერი მავნებელი დანამატების და პესტიციდების გამოყენება წარმოებისას აკრძალულია. ასევე, პროდუქტი არ უნდა იყოს დაბინძირებული მძიმე მეტალებით და დაცული უნდა იყოს სანიტარული

[19] *შენიშვნა: იგულისხმება რომ ჟოლოს თვითღირებულება ფერმერისთვის არის 1.7 ლარი/კგ*
[20] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

და ფიტოსანიტარული ნორმები. ძირითადი მოთხოვნაა ჟოლოს მწარმოებელმა დანერგოს ჰიგიენის დაცვის პრაქტიკა რადგან ჟოლო არ ირეცხება კრეფის შემდეგ, შესაბამისად სუფთა ხელებით მუშაობა კრეფის სეზონის განმავლობაში ძალიან მნიშვნელოვანია. ევროკავშირის პესტიციდების მონაცემთა ბაზაში მითითებულია 457 განსხვავებული პესტიციდის დასაშვები დონე გაყინული ჟოლოს შემთხვევაში.[21]

მწარმოებელმა უნდა ჰქონდეს ფიტოსანიტარული სერთიფიკატი, რომლის ღირებულება არის 25 ლარი, ხოლო მძიმე ლითონების ანალიზის საფასური შეადგენს 150-170 ლარს. ევროკავშირში გატანის შემთხვევაში ჟოლო განთავისუფლებულია ყველანაირი გადასახადისგან.

ევროკავშირში პროდუქციის წარმატებით რეალიზაციისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სერთიფიკატია GLOBALG.A.P. -ის სერთიფიკატი. ეს არის ერთგვარი ბილეთი ევროპის ბაზრისკენ. ამ სერთიფიკატის გამცემი ორგანო არ მდებარეობს საქართველოში. საქართველოსთან ტერიტორიულად ყველაზე ახლოს არის თურქეთის ოფისი. GLOBALG.A.P.-ის სერთიფიკატის ღირებულება არის 10 000 დოლარი. აქედან 5 000 დოლარი არის კონსულტაციის ხარჯი. ამ ხარჯს ემატება კონსულტაციის შედეგების გათვალისწილების ხარჯი. დანარჩენი 5 000 დოლარი მიემართება აუდიტორის ჩამოყვანას, მომსახურებას და სერთიფიკატის გაცემას. ჟოლოს ტრანსპორტირების შემთხვევაში მაცივარ/მანქანის(20 ტონა მოცულობის) ღირებულება არის საშუალოდ 4 500 ევრო. ასევე გასათვალისწინებელია დაზღვევის ხარჯი რომელიც შეადგენს ზედნადებში მითითებული თანხის 0,2-0,35%-ს.

იქედან გამომდინარე რომ არ ხდება ჟოლოს საექსპორტოდ გატანა, მოხდა პოტენციური ხარჯებისა და მოგების დაანგარიშება ექსპორტის შემთვევაში. ქვემოთ მოყვანილი ინდიკატორები დათვლილი იმ შემთხვევისთვის როდესაც ფერმერი გადაწყვეტს ჟოლოს ექსპორტზე გატანას ევროკავშირში.

[21] EU Pesticides database

ცხრილი 16: ჟოლოს წარმოების ეკონომიკური ინდიკატორები ევროკავშირში ექსპორტის შემთხვევაში[22]

| # | ინდიკატორები[23] | შედეგები |
|---|---|---|
| 1 | მთლიანი ხარჯი (ლარი) | 56.575[24] |
| 2 | მოსავალი (კგ/ჰა) | 6.800 |
| 3 | საშუალო გასაყიდი ფასი (ლარი/კგ) | 12.93[25] |
| 4 | შემოსავლები (ლარი) | 87.924 |
| 5 | მოგება (ლარი) | 31 349 |
| 6 | თვითღირებულება (ლარი/კგ) | 8.31 |
| 7 | მოგების მარჟა (ლარი/კგ) | 4.6 |
| 8 | მოგების მარჟა (%) | 36% |

*წყარო: ავტორის გაანგარიშება ინტერვიუებიდან მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით.*

რასაკვირველის ამ შემთხვევაში როდესაც ჟოლოს მწარმოებელი ორიენტირებულია ევროკავშირის ბაზარზე მისი დანახარჯები უფრო მაღალია, რადგან მას უწევს ბევრი სხვადასხვა სერთიფიკატის აღება, და სტანდარტების დასაკმაყოფილებლად სხვადასხვა რეგულაციების განერგვა წარმოების პროცესში. ამ გამოთვლებიდან დავინახეთ რომ, მიუხედავად მაღალი დანახარჯისა მოგება ექსპორტის შემთხვევაში საგრძნობლად გაიზარდა, თუმცა აქ მოცემულია ჰიპოთეტური დათვლები და ევროკავშირში ჟოლოს ფასი აღებულია როგორც საშუალო ჟოლოს მწარემოებლის ფასი.

რა საკვირველია სურსათის უვნებლობის რეგულაციების გარდა, ევროკავშირის ქვეყნები ითხოვენ ერთნაირი ჯიშის ჟოლოს რადგან პროდუქზია იყოს ერთგვაროვანი ზომოთ, ხარისხით. ასევე მნიშვნელოვანია სტაბლურად დიდი რაოდენობთ ჟოლოს ექსპორტი, რაც ამ ეტაპისთვის ერთი მწარმოებლისთვის არ არის შესაძლებელი.

[22] ხარჯები 1 ჰექტარზე გაანგარიშები: მიწის დამუშავება - 300 ლარი, სარეველების მოშორება - 240 ლარი, სასუქის შეძენა/შეტანა - 800 ლარი, ჰერბიციდები და სხვა დამცავი და სამკურნალო საშუალებების შეძენა/ შეტანა - 1500 ლარი, კრეფა 7500 ლარი, ტრანსპორტირება 250ლარი, დარაჯი - 1000 ლარი.

[23] უნდა აღინიშნოს რომ აქ მოყვანილი ციფრები ეყრდნობა რამოდენიმე ინტერვიუს ექსპერტებთან

[24] შემდეგი მონაცემები ეყრდნობა დარგის რამოდენიმე ექსპერტის შეფასებებს: ევროპის ბაზარზე ექსპორტის შემთხვევაში ემატება GLOBALG.A.P. სერთიფიკატის ხარჯი - 24 500, ფიტოსანიტარული სერთიფიკატი - 25 ლარი, მძიმე ლითონების ანალიზი - 160 ლარი, ტრანსპორტირების დანახარჯი - 13 500 ლარი, დაზღვევა - 17 584.

[25] გასაყიდ ფასად აღებულია ევროკავშირში ჟოლოს მწარმოებლის საშუალო ფასი

## 10. ჟოლოს სექტორის „SWOT“ ანალიზი მცხეთა-მთიანეთში




**ძლიერი მხარეები**

- წარმოებისთვის კარგი კლიმატური პირობები
- მთავრობის მხრიდან მხარდაჭერა (გათვალისწინებულია დანერგე მომავალის პროგრამით)
- მაღალი ფასი
- მცირე მიწის ფართობზე სხვა კულტურებთან შედარებით მაღალი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა
- შიდა და გარე ბაზრებზე არსებული მაღალი მოთხოვნა
- გემოვნური და სამკურნალო თვისებები
- კენკროვნების მზარდი ინდუსტრია საქართველოში და მსოფლიოში

**სუსტი მხარეები**

- დარგის განვითარება რამოდენიმე წლის დაწყებულია
- წარმოების დაბალი დონე
- კვალიფიციური და ზოგადად მუშახელის ნაკლებობა
- დარგში ცოდნისა და გამოცდილების ნაკლებობა
- მუშახელის ხარჯი მთლიან ხარჯში მაღალია
- რეგიონში არ ხდება ჟოლოს გადამუშავება
- რეგიონში არ ფუნქციონირებს ჟოლოსთის გათვლილი შოკური გაყინვის მაცივარი და საწყობი
- ჟოლოს მწარმოებლებს შორიის კოორდინაციის არარსებობა
- ჟოლოს მოკრეფასთან დაკავშირებული სირთულეები
- ირიგაციის არარსებობა ბევრ სოფელში
- მიწის ფრაგმენტაცია და სიმცირე
- დარგის სპეციალისტების ნაკლებობა

**საფრთხეები**

- დაავადებები და მწერები
- წარმოების გაზრდის შემთხვევაში ფასის შემცირება
- ევროპის ბაზრის სტანდარტების ვერ დაკმაყოფილება
- ბუნებრივი კატაკლიზმები

**საფრთხეები**

- ხარისხის გაუმჯობესება
- ბიო წარმოების განვითარება
- ფერმერების გაერთიანება და ბაზრისთვის ერთიანი რაოდენობის შეთავაზება
- გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა
- სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობა
- ადგილობრივ გარემოს მორგებული ჟოლოს ჯიშების შემოტანა
- წარმოების გაზრდით ადგილობრივ ბაზარზე არსბული მოთხოვნის დაკმაყოფილება
- ექსპორტის მაღალი პოტენციალი
- ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA)
- იაფი რესურსები – ელექტროენერგია, წყალი, მუშახელი

## 11. ჟოლოს სექტორის პოტენციალი

ჟოლოს ფერმერულ დონეზე წარმოება საქართველოში ახალია, დაახლოებით 3-4 წლის წინ დაიწყო. არის ბევრი ახალგაშენებული ბაღი, რომელიც ჯერ არ არის შესული ნაწილობრივ თუ სრულ მსხმოიარობაში, შესაბამისად მომდევნო წლების განმავლობაში მოსალოდნელია ჟოლოს წარმოების ზრდა.

ჟოლოს მოკრეფა საკმაო სიფრთხილეს საჭიროებს. შესაძლებელია მოკრეფის დროს 15-20% დაზიანდეს და ბაზარზე რეალიზაციისათვის არ იყოს გამოსადეგი. ამ არასტანდარტულ ჟოლოს ფერმერები იყენებენ ჟოლოს მურაბების და ჯემების დასამზადებლად. თუმცა, წარმოების გაზრდის შემთხვევაში აუცილებელი იქნება გადამამუშავებელი საწარმოს ჩამოყალიბება, რაც ჯაჭვში დამატებით ღირებულებას შექმნის. ჟოლო მალფუჭებადი პროდუქტია, ამიტომ ან უნდა მოხდეს მისი რეალიზაცია მალევე ან ფერმერებს უნდა ჰქონდეთ მისი შენახვის შესაძლებლობა. ამასთანავე არასეზონზე ჟოლოს ფასი არის გაცილებით მაღალი და ფერმერები უფრო დიდი შემოსავლის მიღებას შეძლებენ.

ჟოლო მოითხოვს ბევრ ხელით შრომას ძირითადად კრეფის დროს, რაც მისი წარმოების დანახარჯებს საგრძნობლად ზრდის. საზღვარგარეთ პატარა ფერმებში დანერგილია პრაქტიკა (You Pick, We Pick) როდესაც მყიდველს შეუძლია თავად დაკრიფოს ჟოლო. ამ შემთხვევაში ჟოლოს გასაყიდი ფასი არის უფრო დაბალი. ეს პრაქტიკა დანერგილი აქვს რამოდენიმე ფერმერს საქართველოშიც რაც ჟოლოს წარმოების ხარჯებს უმცირებთ.

ინტერვიუების და ფოკუს ჯგუფების შედეგად გამოვლინდა რომ ფერმერთა უმრავლესობა აპირებს რომ სპეციალიზაცია გააკეთოს ჟოლოს წარმოების მიმართულებით და გაზარდოს წარმოება. თუმცა დარგში არსებული მცირე გამოცდილებიდან გამომდინარე, ფერმერები პრობლემებს აწყდებიან ინფორმაციის ნაკლებობის გამო. ისინი ძირითადად ინფორმაციას იღებენ ერთმანეთიდან ან ტელევიზიით(Saperavi TV).

როგორც უკვე აღინიშნა საკმაოდ მაღალია მოთხოვნა ადგილობრივ ბაზარზე, როგორც რიგითი მომხმარებლების ასევე სუპერმარკეტების, საკონდიტროების მხრიდან, რასაც ჯერ-ჯერობით ვერ აკმაყოფილებს ადგილობრივი წარმოება. პირველ რიგში უნდა მოხდეს ადგილობრივი ბაზრის სრულად ათვისება. ქართველმა მწარმოებლებმა უნდა შეძლონ პროდუქციის მთელი წლის მანძლზე მიწოდება რათა ჩაანაცვლონ იმპორტირებული პროდუქცია.

ქართული ჟოლოს საექსპორტო პოტენციალი საკმაოდ მაღალია. როგორც უკვე აღინიშნა ჟოლოზე მოთხოვნა ევროპაში წლიდან წლამდე მატულობს. ასევე უნდა აღინიშნოს რომ საქართველოში ჟოლოს მოსავლის აღება იწყება გაცილებით ადრე(მაისის ბოლოს) ვიდრე ბევრ ევროპის ჟოლოს მწარმოებელ ქვეყანაში(ევრპაში ძირითადად იწყება ივლისში). ეს საქართველოს შანსს აძლევს მოახდინოს ჟოლოს ექსპორტი შედარებით მაღალ ფასად. საქართველოში ჟოლოს წარმოების თვითღირებულება დაბალია ევროპის ფასებთან შედარებით, რაც ქართულ წარმოებას უპირატეს პირობებში აყენებს. ამასთანავე, DCFTA ქართველ მწარმოებლებს საშუალებას აძლევს ყოველგვარი შეზღუდვისა და გადასახადის გარეშე შეიტანონ პროდუქცია ევროკავშირის ქვეყნებში. ეს ნიშნავს უკეთეს ხარისხს, გაზრდილ წარმოებას, უფრო მაღალი შემოსავლის გენერირების შესაძლებლობას ფერმერებისთვის.

## 11.1 დასაქმების პერსპექტივები და შემოსავლების გენერირება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ჟოლოს წარმოება სამუშაო ძალით ინტენსიური პროცესია. მუშახელი ჩართულია ჟოლოს წარმოების სხვადასხვა ეტაპზე. მათი სამუშაოები მოიცავს, გათოხვნას ძირებს შორის, სარეველების მოშორებას, გასხვლას. ყველაზე შრომატევადი მოსავლის აღებაა, რასაც სათანადო ცოდნა სჭირდება. შესაბამისად მოსავლის აღება-დაბინავების ეტაპზე ოჯახის წევრების გარდა, სეზონურად დასაქმებულია ბევრი ადამიანი. ჟოლოს წარმოების გაზრდა ხელს შეუწყობს უფრო მეტი ადამიანის დასაქმებას ამ მიამრთულებით. მუშა ხელის დღიური ანაზღაურება შეადგენს 25-30 ლარს.

რეგიონის ერთ-ერთი უპირატესობაა მისი სიახლოვე გასაღების მსხვილ ბაზრებთან, როგორებიცაა მცხეთა, გორი და თბილისი. ეს რა თქმა უნდა ამცირებს ტრანსპორტირების ხარჯს და ასევე ამცირებს ჟოლოს გაფუჭების რისკებს.

როგორც უკვე აღინიშნა ჟოლოს წარმოებაში ძირითადად მცირე ფერმერები არიან ჩართულები. ბევრი მათგანი ჟოლოს აწარმოებს მხოლოდ საკუთარი მოხმარებისათვის. ისინიც კი ვისაც მარკეტინგული გათვლები აქვს აწარმოებენ მცირე რაოდენობით. თუმცა, ჟოლოს მაღალი ფასი ბაზარზე განაპირობებს მათ ინტერესს გაზარდონ წარმოება. ჯერჯერობით ჟოლოდან მიღებული შემოსავლები მათი მთლიანი შემოსავლების 15-20% წარმოადგენს.

იქედან გამომდინარე, რომ მცხეთა-მთიანეთში მიწის საშუალო ფართობი საკმაოდ მცირეა, მნიშვნელოვანია აგრარული სექტორის განვითარებისთვის და ფერმერების მოტივაციისთვის სოფლის მეუნრეებში ისეთი კულტურების დანერგვა რომელიც მაღალ რენტაბელურია მცირე მიწაზეც. სწორედ ასეთ კულტურას წარმოადგენს ჟოლო.

## 11.2 გარემოზე ზემოქმედება

სახელმწიფოს მხრიდან აქტიურად განიხილება მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ბიო წარმოების ხელშეწყობა. სამომავლოდ რეგიონი განიხილება როგორც ბიო წარმოების წამყვანი რეგიონად. თუმცა რეგიონში არ არის ბიო სასუქების პესტიციდების გამოყენების გამოცდილება. ბიო წარმოებაზე გადასვლა ხელს შეუწყობს გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირებას, ასევე ეს შეიძლება მიჩნეულ იქნას როგორც ჟოლოს ნიშური მარკეტი საქართველოსთვის.

საჭიროა აგრო მაღაზიებს დაემატოს უფრო მეტი ბიო პროდუქცია და ფერმერებს გაეწიოთ კვალიფიციური კონსულტაცია თუ რომელი წარმოების საშუალებები უნდა გამოიყენენ და რა აგრო ვადებში.

# 12. დისკუსია და რეკომენდაციები

## 12.1 ჟოლოს სექტორის მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორები

კვლევის პროცეში გამოიკვეთა რამოდენიმე ხელისშემშლელი ფაქტორი, რომლებიც შემდეგ ჯგუფებად გაერთიანდა:

- ამინდთან დაკავშირებული რისკები. კერძოდ, ქარი და გვალვა ყველაზე ხშირად აზიანებს ნაყოფს;
- მავნებლები და დაავადებები: ჟოლოს ხოჭო, კვირტის ჩრჩილი და ჟოლოს ღეროს ბუზი. ასევე მეტად საშიშია შემდეგი დაავადებები: ანთრაქნოზი, ბოტრიცისი და ნაცარი;
- დაავადებებთან ბროლის ცოდნის, ინფორმაციისა და გამოცდილების ნაკლებობა;
- მუშის, მკრეფავების პრობლემა. ჟოლოს მოკრეფას სპეციფიკური ცოდნა სჭირდება, რადგან შეიძლება მარტივად მოხდეს ნაყოფის დაზიანება კრეფის პროცესში. ეს ასევე ძალიან შრომატევადი პროცესია, და ხშირად ჭირს ხოლმე კვალიფიციური მუშახელის შოვნა;
- უხარისხო სანერგე მასალა. კერძოდ ინტერვიუებიდან და ფოკუს ჯგუფებიდან გამოვლინდა რომ ფერმერები იღებენ უფრო ცოტა მოსავალს ვიდრე გათვალისწინებულია სხვადასხვა ნერგით. ეს შეიძლება გამოწვეული იმით რომ ფერმერებმა არ იციან თუ როგორ უნდა მოუარონ ბაღს სათანადოდ ან ეს ნერგი არ არის ადაპტირებული ადგილობრივ პირობებთან, ამიტომ უდნა მოხდეს შესაბამისი ჯიშების შემოტანა და დანერგვა;
- კიდევ ერთი დაბრკოლება ფერმერებისთვის რომლებსაც უნდათ „დანერგე მომავლის“ პროგრამაში ჩართვა, თუმცა, პროგრამაში მონაწილეობისათვის აუცილებელია, რომ მას ქონდეს არანაკლებ 1 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, რაც ამ რეგიონში ხელისშემშლელი გარემოებაა მიწის სიმცირის გამო.;
- ჟოლო მალფუჭადი პროდუქტია, ამიტომ მოკრეფიდან მალე უნდა მოხდეს მისი რეალიზაცია. შესაბამისად, წარმოების ზრდის პირობებში აუცილებელია მუნიციპატიტეტებში არსებობდეს ჩასაბარებელი და გადამამუშავებელი პუნქტები. ასევე შოკური გაყინვის მაცივრები. ეს დაეხმარებათ ფერმერებს პროდუქცია შეინახონ და არ გაყიდონ მოსავლის მიღებისთანავე. რა თქმა უნდა ჟოლოს ფასი არასეზონზე ბევრად მაღალია და ადგილობრივ ბაზარზე მხოლოდ იმპორტირებული პროდუქცია გვხვდება.

## 12.2 რეკომენდაციები

კვლევაში ჩატარებული ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი რეკომენდაციები:

- პირველ რიგში აუცილებელია მოხდეს წარმოების განვითარება, გაფართოება და შესაბამისად ადგილობრივი ბაზრის ათვისება. ადგილობრივი მწარმოებლები უნდა პასუხობდენენ ყოველწლიურად გაზრდილ მოთხოვნას შესაბამისი წარმოებით.
- ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, რომ ჟოლოს ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სამაცივრე/შემნახველი მეურნეობების ჩამოყალიბება რეგიონში. ეს ფერმერს საშუალებას მისცემს შექმნას დამატებითი ღირებულება ჯაჭვში. ჟოლოს წარმოების რაოდენობის ზრდასთან ერთად, ფერმერებს უნდა გაუჩნდეთ შესაძლებლობა შეინახონ ჟოლო სასურველი ვადით და

შემდგომ მოახდინონ რეალიზება მთელი წლის განმავლობაში. სეზონზე მორგებული რეალიზაცია მათ საშუალებას მისცემთ გაყიდონ პროდუქცია ზამთარში უფრო მაღალ ფასებში, ჩაანაცვლონ და კონკურენცია გაუწიონ იმპორტირებულ პროდუქციას.

- როგორც აღინიშნა ჟოლოს საკმაოდ მაღალი ფასი აქვს მთელი წლის განმავლობში როგორც საქართველოს ასევე საერთაშორისო ბაზრებზე. საქართველოს ბაზარზე მოთხოვნა ჯერჯერობით ბევრად აჭარბებს მიწოდებას რაც რასაკვირველია აისახება ფასზე. წარმოების მოცულობის გაზრდით შემცირდება ჟოლოს საბაზრო ფასი, რაც გადამამუშავებლებს საშუალებას მისცემს შეისყიდონ უფრო მეტი პროდუქცია და გააფართოვონ წამოება.
- საქართველოში არსებული მწარმოებლის საშუალო ფასი, ბევრად დაბალია ვიდრე ევროპის ბევრ ქვეყანაში. ეს საქართველოს უპირატესობას აძლევს გახდეს მიმზიდველი ევროპის ბაზრისთვის. თუმცა ევროკავშირის ბაზარი პროდუქციის ხარისხთან ერთად ითხოვს გარკვეულ მოცულობას, რაც რა თქმა უნდა წარმოადგენს პრობლემას იქედან გამომდინარე რომ ჟოლოს წარმოება ჯერ-ჯერობით არ ხდება დიდ მასშტაბებზე. ასევე ჟოლო უნდა იყოს ერთი და იმავე ჯიშის და ჰომოგენური. ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია კოოპერატივების ჩამოყალიბებით რომლიც წევრებიც ერთი და იმავე ჯიშის ჟოლოს წარმოებაზე გადავლენ.
- იმისათვის რომ მოხდეს ღირებულებათა ჯაჭვში უფრო მეტი ღირებულების გენერირება საჭიროა პრობლემები მოგვარდეს ჯაჭვის ყველა რგოლისთვის. პირველ რიგში საჭიროა ფერმერების ცნობირების ამაღლება ამ დარგში. აუცილებელია მოხდეს დაინტერესებული ფერმერების დატრენინგება. ამ პროცესში შესაძლოა კენკრის მწარმოებელთა ასოციასიის ჩართვა და მათი შესაძლებლობების გაძლიერება, რათა შემდგომ მათ ბაზაზე მოხდეს ფერმერების გადამზადება. ასევე კარგი იქნება თუ ფერმერებს ექნებათ მეტი ხელმისაწვდომობა ჟოლოს წარმოების შესახებ არსებულ ლიტერატურასთან, რომელიც უკვე გამოცსა რამოდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ(USAID, NEO).
- ასევე ჟოლოს მწარმოებელ ფერმერებს განვითარებაში დაეხმარებათ ჟოლოს წარმოების წარმატებული მაგალითების ჩვენება და მათი ინფორმირება წარმოების საუკეთესო გზების შესახებ. შესაძლებელია აგროტურების ორგანიზება ფერმერებისთავის ჟოლოს წარმოებით წამყვან ევროპის ქვეყნებში და მათი მეთოდების გაცნობა. ასევე სასურველია უცხოელი დარგის სპეციალისტების ვიზიტების ორგანიზება რეგიონში და ჟოლოს წარმოებაში დანერგილი აგრო პრაქტიკების გაცნობა.იქედან გამომდინარე, რომ საქართველოში ძალიან ცოტა დარგის სპეციალისტი მოიძებნება, კარგი იქნება თუ აგრონომები გადამზადებას გაივლიან ჟოლოს წარმოებაში.
- სასურველია რეგიონში მოეწყოს ჟოლოს საჩვენებელი ნაკვეთი სადაც ფერმერებს შესაძლებლობა ექნებათ ჟოლოს მოვლის აგრო წესებს გაეცნონ. თანამედროვე სტანდარტებისა და ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან, ხელს შუწყობს მაღალი ხარისხის ჟოლოს წარმოებას ჩამოალიბებას.

## ბიბლიოგრაფია:

1. დევიდ პიჩა,2014, ჟოლო-ფერმერის გზამკვლევი, USAID, NEO
2. მცხეთა-მთიანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის
3. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულებათა ჯაჭვი იმერეთისა და რაჭის რეგიონებში კენკროვნების წარმოება, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია
4. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2016 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიში
5. Global and Local Raspberry Supply Chains: National-level Report of Serbia, Faculty of Economics, University of Belgrade, 2015
6. Tendences related to the production of raspberry in the republic of Serbia, Economics of Agriculture, 2013; available at: http://www.ea.bg.ac.rs/images/Arhiva/2013/Broj%201%20-%202013_%20Issue%201%20-%202013/3%20-%20Kljajic,%20Vukovic,%20Arsic.pdf

**ინტერნეტ წყაროები:**

1. agronews.ge
2. www.agrokavkaz.ge
3. www.comtrade.un.org
4. www.fao.org/faostat
5. www.geostat.ge
6. www.trademap.org
7. www.zrda.georgianneo.ge
8. სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია- www.mtskheta-mtianeti.gov.ge

## დანართი

| რესპოდენტი | საქმიანობა |
|---|---|
| 1. თამრიკო ღანიშაშვილი | ფერმერი |
| 2. იმედა ხუციშვილი | ფერმერი |
| 3. დარეჯან თიგიშვილი | ფერმერი |
| 4. დონარი ბულაური | ფერმერი |
| 5. ეკა ნავროზაშვილი | ფერმერი |
| 6. ვლადიმერ ვარდოსანიძე | ფერმერი |
| 7. მარი კაიშაური | ფერმერი |
| 8. მერი ფოლოდაშვილი | ფერმერი |
| 9. ოთარ ნამორაძე | ფერმერი |
| 10. რუსუდან ჩერქრზიშვილი | ფერმერი |
| 11. ცაცა ბაღაშვილი | ფერმერი |
| 12. ანა სინჯარაძე | ფერმერი |
| 13. ნინო პაპიაშვილი | ფერმერი |
| 14. ოთარ ფოცხვერაშვილი | ფერმერი |
| 15. რუიზან ტერაშვილი | ფერმერი |
| 16. გიორგი კორელი | ფერმერი |
| 17. მერაბ ჟღენტი | ფერმერი |
| 18. დავით ალექსიძე | ფერმერი |
| 19. „აგროლეინი“ | კოოპერატივი |
| 20. „გეა“ | კოოპერატივი |
| 21. ნანი თეთრუაშვილი | სოფლის მეურნეობის სამინისტროს დუშეთის საინფორმაციო საკონსულაციო სამსახურის თანმშრომელი |
| 22.პაატა ივანაური | საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს თიანეთის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის 1-ლი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი |
| 23. ნიკოლოზ კიკნაველიძე | სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის სამმართველოს უფროსი |
| 24. გელა ჩხუტიაშვილი | რეალიზატორი, სასუქების და პესტიციდების მაღაზიის მეპატრონე |
| 25. გივი გაჩეჩილაძე | Frozera |
| 26. თეონა ზედელაშვილი | REAP |